ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისი სახელმწიფო უნივერსიტეტის
სოციალურ პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

მედია და ახალი ტექნოლოგიები

მარიამ გოგალაძე

ეთნიკური უმცირესობების ასახვა ახალ მედიაში

ხელმძღვანელი: ნათია კუპრაშვილი

თბილისი,2017

ანოტაცია

ეთნიკური უმცირესობა ქართული მოსახლეობის იმ ნაწილს წარმოადგენს, რომელიც საზოგადოებისგან გარიყულია. საუკუნეების განმავლობაში ერთობლივი თანაცხოვრების მიუხედავად, ვერ ხდება მათი სოციალური, კულტურული და პოლიტიკური დაკავშირება უმრავლესობასთან. ყოველივე ამას, განაპირობებს მასებში სტიგმების და სტერეოტიპებისადმი, კკლავინდებური ნდობა და ინტერესი. უმცირესობის ინტეგრაციისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გზაა, ხელსაყრელი მედია გარემოს შექმნა, მათ შესახებ სიახლების ინტენსიური გაშუქება და ინფორმაციის უმცირესობის ენაზე გავრცელება. მიუხედავად წინ გადადგმული ნაბიჯებისა, ეთნიკური უმცირესობები კვლავ, მარგინალურ მდგომარეობაში რჩებიან. მსოფლიო ორგანიზაციები, დემოკრატიული ქვეყნის ვალდებულებათა ნუსხაში, ეთნიკური უმცირესობების ინტეგრირების საკითხს, მნიშვნელოვან ადგილზე აყენებს. მიუხედავად ამისა, დაბალანსებული მედია გარემო ქართულ რეალობაში არ არსებობს.

ეროვნული უმცირესობის საკითხის გაშუქებაზე მედიაში, ძალიან მწირი კვლევები არსებობს და ვთვლი, რომ ჩემი ნაშრომი „ეთნიკური უმცირესობის ასახვა ახალ მედიაში“, შესაძლოა, საინტერესო იყოს. ნაშრომში გამოკვეთილი საკითხები, ვფიქრობ დაგვანახებს ნათელ სურათს, თუ რა ხდება დღეს, ინტერნეტმედიაში უმცირესობის გაშუქების მიმართულებით.

მედია მონიტორინგის შედეგად, გამოვლინდა უმცირესობების მიმართ ნაკლები ინეტერესი, როგორც მედია ორგანიზაციების მხრიდან ასევე ზოგადად ხელისუფლების, არასამთვარეობეებისა და სახალხო დამცველისგან. დაკვირვებამ, ცხადყო, რომ ჟურნალისტები ნაკლებ ყურადღებას ანიჭებენ, პრობლემურ საკითხებს, არ ხდება ფაქტების სისტემატიზაცია და სიახლეები ფრაგმენტულია.

დღეს, მედიას უდიდეს როლი უკავია საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბების მხრივ. უმცირესობები კი ძირითადად ინფორმაციას უცხოური მედია საშუალებებიდან იღებენ, რაც მათ უფრო მეტად აშორებს ქართულ საზოგადოებას.

Reflection of the Ethnic Minorities in New Media

Mariam Gogaladze

Annotation

Ethnic minority represents the part of the Georgian society which is rejected by majority the population. Even though ethnic majority and minorities were living together during the centuries, their social, cultural and political connection is not happening. All of this is caused by the stereotypes and stigmas in the masses. For the integration of minority, one of the most important ways is to create the suitable media environment, provide the intensive news coverage about them, and then spread the information through minority using their own language. Despite the progress, the ethnic minorities are still in marginalized condition. International organizations put ethnic minorities in an important place, within the list of obligations of the democratic country. Despite that, there is no balanced media environment in Georgian reality.

The studies about the ethnic minorities news coverage in media are very poor, and I consider that in my work: "Reflection of the Ethnic Minorities in New Media". I think, the facts highlighted in the work will show the clear picture of the reality of the news coverage about the ethnic minority in Georgian internet and news media.

In my work, I observe that there is the less interest towards the minorities from the media organizations, as well as from government, non-governmental organizations and ombudsmen or other human rights advocates. Observations show that journalists pay less attention to problematic issues, there is no systematic coverage of the facts and news are fragmented.

Nowadays, media plays a big role in forming public opinion. Due to lack of national sources, the minorities get all the information from the foreign media, which further alienates them from Georgian society.

სარჩევი

შესავალი----------5

I თავი - ლიტერატურის მიმოხილვა----------9

II თავი - ახალი მედია და მისი როლი----------16

III თავი -ეთნიკური უმცირესობები საქართველოში----------18

3. 1 აფხაზები----------20

3. 2 ოსები----------21

3. 3 ებრაელები----------22

3. 4 სომხები----------22

3. 5 აზერბაიჯანელები----------23

3. 6 ბერძნები----------24

IV თავი - მაუწყებლობების ანალიზი----------26

4. 1 Ambebi.ge----------28

4. 2 Ipn.ge----------31

4. 3 საზოგადოებრივი მაუწყებელი----------34

4. 4 liberali.ge----------38

V თავი - მედიის თვითრეგულირების სტანდარტი უმცირესობის გაშუქებისას---------41

დასკვნა----------45

გამოყენებული ლიტერატურა----------48

შესავალი

მსოფლიოში მრავალი ცვლილება მოხდა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ თანამედროვე ჟურნალისტიკას საფუძველი სულ, რაღაც ორი საუკუნის წინ ჩაეყარა. მას შემდეგ მსოფლიოში ბევრი რამ შეიცვალა. ეს ცვლილებები ყველაზე მეტად თანამედროვე კომუნიკაციის საშუალებებში აისახა. ბოლო ორასი წლის განმავლობაში ჟურნალისტიკამ განვითარების უაღრესად მაღალ საფეხურს მიაღწია.

დღეს თანამედროვე ადამიანის ცხოვრება სრულიად სოციალიზირებულია. ნებისმიერ ინდივიდს, რომელიც დაინტერესებულია თავისი აზრის გავრცელებითა და გამოხატვით, თავისუფლად შეუძლია თავს ჟურნალისტი უწოდოს. დღეს მოქალაქე ჟურნალისტები, ბლოგის და სხვა მონათესავე სოციალური არხების საშუალებით, ინფორმაციას აწვდიან საზოგადოებას. სანდო და არასანდო ინფორმაციის წყაროების ერთმანეთისგან გარჩევა გაცილებით რთული გახდა, ვიდრე ეს თუნდაც ათი წლის წინ იყო შესაძლებელი.

პროფესიულ და მოყვარულ მედია საშუალებათა შორის ხილვადი საზღვრები წაშლილია. მედია სახალხო და ყველასთვის ხელმისაწვდომი გახდა.

60-იან წლებში მედია მკაცრად კონტროლირდებოდა დომინანტური პოლიტიკური და ეკონომიკური დაჯგუფებების მიერ. მიუხედავად ამისა, ყოველთვის არსებობდა ინტერესთა ჯგუფები, რომლებიც გამუდმებით ცდილობდა სხვადასხვა საშუალებებით (პროკლამაციებით, ვიდეოარტებით, პერფორმანსებით) გაევრცელებინათ მოვლენათა ალტერნატიული ხედვა. დღეს ამ მიზნების მიღწევა გაცილებით ადვილად შეიძლება - ბლოგის, ვებ-გვერდის, twitter-ისა და facebook-ის მეშვეობით.

ყველა, ვისაც აქვს კომპიუტერი, ტელეფონი და სწამს, რომ არის ჟურნალისტი, ინფორმაციის გავრცელებითაა დაკავებული. ხშირად ტელევიზიებს უფრო უჭირთ ინფორმაციის სწრაფი გავრცელება, ვიდრე მოყვარულ ჟურნალისტებს. ისინი ყველგან არიან ნებისმიერი ცხელი წერტილი მათია, სწორედ ამიტომ ინფორმაციას ყველაზე სწრაფად სწორედ ისინი ავრცელებენ.

ჟურნალისტიკა საუკუნეების განმავლობაში გამუდმებით სახეს იცვლის, პრესის წარმოშობიდან ბლოგამდე, 300 წელზე მეტია გასული. მიუხედავად ამისა, ამ დროის

განმავლობაში მედიის დანიშნულება და მიზანი არ შეცვლილა: „ჟურნალისტიკის უპირველესი მიზანია მოქალაქეებოს უზრუნველყოფა იმ ინფორმაციით, რომელიც მათ თავისუფლებისა და თვითმმართველობისთვის სჭირდებათ“ [1]

ჟურნალისტებს აქვთ მთელი რიგი არაფორმალური მოვალეობები და ვალდებულები. განსაკუთრებით საფრთხილოა ახალი ამბების სწორი გავრცელება, რადგან ნებისმიერ ჟურნალისტს შეუძლია პანიკის და შიშის დანერგვა, თუნდაც ერთი არასწორი ახალი ამბის გავრცელებით. ასევე, საფრთხის შემცველია სხვადასხვა იმიტირებული გადაცემები, როგორც რადიოში, ისე ტელევიზიაში. საქართველოში ასეთი შემთხვევა იყო მოდელირებული ქრონიკა, 2010 წლის 13 მარტი, ალბათ, ბევრი ადამიანის ცხოვრებაში დარჩება შიშის, პანიკისა და გაურკვევლობის დღედ, ომიდან მხოლოდ ორი წელია გასული და ტელე იმედის საშუალებით, კვლავ ომის მიმდინარეობა შუქდება. მსგავსი ქმედება ტელევიზის მიერ სავალალო შედეგის მომტანია. მხოლოდ იმიტომ, რომ არხის რეიტინგმა მოიმატოს საზოგადოებაში პანიკის დათესვა, დანაშაულის ტოლფასია.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ზოგჯერ ახალი ამბები ადამიანის ცხოვრებაში ერთგვარ დაცვით კედელს ქმნის. შენ, ინდივიდმა, როდესაც იცი, ზუსტად რა ხდება მსოფლიოსა და შენს ქვეყანაში, გაცილებით მშვიდად და დაცულად გრძნობ თავს.

ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს საზოგადოებაში დემოკრატიულობის ხარისხს როგორც წესი, რაც უფრო დემოკრატიულია საზოგადოება, მით უფრო ინფორმირებულია იგი. ჟურნალისტიკის პედაგოგის ჯონ ჰოჰენბერგის აზრით - ჟურნალისტიკის საწყისი ელემენტები ჯერ კიდევ ძველ საბერძნეთში ისახებოდა, ინფორმაციის გავრცელების ადგილი კი ათენის აგორა იყო; იქ აშუქებდნენ ყველაფერს, რაც კი საზოგადოებას აინტერესებდა. საინტერესოა ასევე ინფორმაციის გადაცემა მენსტრელების საშუალებით, რომელიც ახალ ამბებს ბალადებით გადასცემდნენ.

ჟურნალისტიკა სახალხოა, ეს მის ჩანასახშიც კარგად ჩანს მე-17 საუკუნეში ინგლისში ყავახანებსა და მოგვიანებით პაბში მასობრივად ვრცელდებოდა საინტერესო ინფორმაციები. ასეთი სტილის თავშეყრის ადგილებს ამერიკაში, „საზოგადოებრივ

[1] ჟურნალისტიკის ელემენტები, ბილ კოვაჩი & ტომ როზენსტილი გვ.19, 2006

სახლებს“ უწოდებდნენ. იქ იკრიბებოდნენ მეკობრეები, მოგზაურები, მაღალი საზოგადოების წარმომადგენლები, ან უბრალო გამვლელები. მოგზაურები ამერიკელ ბარმენებს უმნიშვნელოვანეს ინფორმაციას აწვდიდნენ, რაც საკმაოდ საინტერესო იყო. [2]

„ახალი ჟურნალისტი უკვე აღარ წყვეტს, თუ რა უნდა იცოდეს საზოგადოებამ. ის ეხმარება აუდიტორიას, რომ მან თვითონ ამოირჩიოს“ [3]

ეს ნათელი, მაგალითია იმისა, რომ ჟურნალისტიკა თავიდანვე სახალხო იყო. მხოლოდ ინდუსტრიალიზაციის პერიოდში იქცა იგი მონოპოლიურად. მოგვიანებით არსებობდა ერთი არხი და სხვა არავის ჰქონდა მასობრივი ინფორმაციის გავრცელების უფლება. ამის გამო, შეიძლება ითქვას, რომ დიდი დროის განმავლობაში ალტერნატიულმა, სახალხო ჟურნალისტიკამ იატაქქვეშეთში გადაინაცვლა.

მსგავსი მოვლენები განსაკუთრებიღ ვითარდებოდა საბჭოთა კავშირის, ნაცისტური გერმანიის და სხვადასხვა ტოტალუტარული და ავტოკრატული რეჟიმების ბატონობის დროს.

დიქტატორები გამუდმებით ცდილობდნენ მოსახლეობა მაქსიმალურად მოექციათ ინფორმაციის ვაკუუმში და მიეწოდებინათ მათთვის მხოლოდ ფაშისტური გერმანიის და კომუნისტური საბჭოთა კავშირის ხელისუფლებისთვის მისაღები ინფორმაციები. ამ პერიოდში სასტიკად სჯიდნენ განსხვავებული აზრის მქონე პიროვნებებს, რითაც მთლიანად იყო შეზღუდული აზრის გამოხატვის თავისუფლება.

ჟურნალისტიკამ განვითარების მეტად მნიშვნელოვანი გზა განვლო, ის იქცა ხალხისთვის ყველაზე სანდო ინფორმაციის წყაროდ და დაკარგა საზღვრები. დღეს ყველას შეუძლია იყოს ჟურნალისტი. ის გახდა ხალხის იმედი და უდიდესი ძალა. მაგრამ, ამავე დროს ინფორმაციათა მოზღვავების შედეგად, კიდევ უფრო გართულდა ნამდვილი და ცრუ ინფორმაციის წყაროების ერთმანეთისგან გამიჯვნა. დღეს ჟურნალისტური წყაროს სანდოობა ინდივიდუალურია, ყველა პიროვნება თავისი აზრისა და იდეოლოგიის მიხედვით ხდება გარკვეული ინფორმაციის მსხვერპლი, ან გამარჯვებული.

---

[2] ბ. კოვაჩი & ჯ. როზენსტილი ჟურნალისტიკის ელემენტები გვ. 24 2006

[3] ბ. კოვაჩი & ჯ. როზენსტილი ჟურნალისტიკის ელემენტები გვ. 27 2006

ახალ მედიაში სხვადასხვა საკითხის ასახვა განსხვავებულად ხდება. ჟურნალისტიკის სახალხოობასთან ერთად, მისი რეგულირება შეუძლებელი გახდა. ქართულ მოსახლეობაში მწვავედ დგას ეთნიკური უმცირესობის მიმართ შემწყნარებლობის და განსხვავებულის მიღების საკითხი, რაც მედიაშიც ჰპოვებს ასახვას. ეს უფრო მძიმედ სწორედ ახალ მედიაში ხდება. ცრურწმენა, სტერეოტიპები, განსხვავებული მიუღებლობა, ეს ყველაფერი განსაზღვრავს უმცირესობის და უმრავლესობის ურთიერთობას.

რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ ევროპული კომისიის (European Commission Against Racism and Intolerance) საქართველოს შესახებ ბოლო მოხსენებაში ასახულია, რომ ქართულ მედიაში არსებობს ეთნიკური უმცირესობების მიმართ სტერეოტიპები, აკვიატებული აზრები და არასწორი შეხედულებები. მედიას ეთნიკური უმცირესობის ინტეგრაციისთვის უმნიშვნელოვანესი როლი აკისრია. ეროვნული უმცირესობების დაბალანსებული, ზუსტი და კორექტული ასახვა ქართულ მედიაში ფაქტიურად არ ხდება. [4]

მედიის საზღვრების გაფართოების მიუხედავად, მოყვარული ან პროფესიონალი ჟურნაალისტებისთვის აქტუალური თემები კვლავ სკანდალურ საკითხებთან ასოცირდება და მათი მიზანიც, სამწუხაროდ უფრო ხშირად სწორედ მსგავსი სტილის სტატიების შექმნაა.

ქართული მედია ლოიალური დამოკიდებულებით გამოირჩევა ეთნიკური უმცირესობის საკითხის გაშუქებისას, სტატიები ძირითადად იქმნება საზოგადოებრივი ინტერესიდან გამომდინარე. რა საკითხიც აინტერესებს მასებს, სწორეს ამაზე მუშაობენ ჟურნალისტების უმეტესობაც; უმცირესობა კი, ამ ყველაფრის მიღმა რჩება, რადგან დღეს საზოგადოება ნაკლებად დაინტერესებულია მათი ცხოვრებით, მედიაც ასე იქცევა.

[4] ევროპული კომისია რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ მოხსენება საქართველოს შესახებ, გვ18, 2016

თავი I ლიტერატურის მიმოხილვა

ეთნიკურ უმცირესობის თავისუფალ ცხოვრებას, დემოკრატიულ საზოგადოებაში, მრავალი კანონი, პრინციპი, სამინისტრო და სახალხო დამცველის აპარატი უზრუნველყოფს, მათ მიმართ დიდი ინტერესის მიუხედავად, საზოგადოების დამოკიდებულება კვლავ სტერეოტიპული და გაუცნობიერებელია.

ეთნიკური უმცირესობის საკითხზე სახალხო დამცველი 2015 წლის საპარლამენტო ანგარიშებში საუბრობს და ასახელებს რიგ პრობლემებს, რომლებიც კვლავ გამოწვევად რჩება. მათ შორისაა :

ეთნიკური უმცირესობის კულტურული მემკვიდრეობის სრულფასოვანი დაცვა და შენარჩუნება, საუბრობს თბილისში სომხურ-აზერბაიჯანული თეატრების რეაბილიტაციზე, რეგიონში კი - კულტურის სახლების გაცოცხლებას და მის აღდგენაზე. სახალხო დამცველის აპარატი თავის ანგარიშებში მედიის ვალდებულებებსა და კრიტერიუმებს ყოველწლიურად აქვეყნებს. [5]

მშობლიური ენის შენარჩუნება მთელ რიგ რეგიონებში პრობლემად რჩება. სახალხო დამცველი ანრგარიშში, როგორც ვკითულობთ ეს პრობლემა წლების განმავლობაში იყო და მისი მოგვარება მხოლოდ 2015-2016 წლებში იქნა შესაძლებელი, რის შედეგადაც შესაძლებელი გახდა მცირერიცხოვანი უმცირესობის ენების სწავლება : ქურთული(კურმანჯი), ასურული, უდიური, ავარული(ხუნზური), ქისტური (ჩეჩნრური) და ოსური.

შემდეგ პრობლემად სახალხო დამცველი ასახელებს ინფორმაციის ხელმისაწვდომობის საკითს. საქართველოს კანონით ,,მაუწყებლობის შესახებ'' საზოგადოებრივი მაუწყებელი ვალდებულია მის სამაუწყებლო ბადეში ასახული იყოს მრავალფეროვნება, როგორც ენობრივი კუთხით ასევე ეთნიკური ნიშნით. ,,ეროვნული უმცირესობის, ასევე უმრავლესობის სწორი და სრულფასოვანი ინფორმირების მიზანს, წლების განმავლობაში ემსახურებოდა და გარკვეული დოზით ხელს უწყობდა ტელეგადაცემა „ჩვენი ეზო“, რომელიც 2015 წლის მეორე ნახევრიდან ეთერში აღარ გადის.“ [6]- ვკითხულობთ სახალხო დამცველის ანგარიშში.

---

[5] სახალხო დამცველის ანგარიში გვ 92, 2015

[6] სახალხო დამცველის ანგარიში გვ 93, 2015

ომბუდსმენის ანგარიშიდან ასევე ვიგებთ, რომ ამავე წელს თითქმის გამოუყენებელი იყო უმცირესობებისთვის რადიო. ეთნიკური უმცირესობის ინფორმირებულობას ხელს უწყობს გაზეთები ,,გურჯისტანი'' და ,,ვრასტანი", ისიც შეზღუდული რესურსით და ტირაჟით არსებობს.

ეთნიკური უმცირესობის საკითის გაშუქება მედიაში, სახალხო დამცველის 2016 წლის ანგარიშში, ვრცელ თავს იკავებს. ასახელებს მთელ რიგ პრობლემებს, რომელთა გადაჭრაც აუცილებელია დღევანდელი ევროპული ქვეყნის განვითარებისთვის, მათ შორისაა:

- სომხურ და აზებაიჯანულ ენაზე სრულფასოვანი საინფორმაციო გამოშვებების არქონა
- შეზღუდული ფინანსებით და ტირაჟით არსებული სომხური და აზერბაიჯანული გაზეთები ,,გურჯისტანი" და „ვრასტანი"
- ახალი ამბების, მათ ენაზე, ქართულ ტელევიზიებში არ არსებობის გამო, რუსული, აზერბაიჯანული, სომხური, თურქული და ირანული არხების და ონალინ მაუწყებლობის გაცნობა.
- სტერეოტიპებისგან თავისუფალი ინფორმაციის შექმნა.
- უმცირესობისთვის უმრავლესობის შესახებ ობიექტური ინფორმაციის მიწოდება.

ომბუდსმენის აგარიშში ასევე ვკითულობთ 2016 წლის გაეროს რასობრივი დისკრიმინაციის კომიტეტის მოხსენების შესახებ „კომიტეტი რეკომენდაციას აძლევს საქართველოს ხელისუფლებას მიიღოს ზომები ეროვნული უმცირესობებისთვის მშობლიურ ენაზე ხელმისაწვდომი ინფორმაციის ხარისხისა და აქტუალობის გასაზრდელად."[7]

2005- 2016 წწ სახალხო დამცველის აპარატში არსებობს ტოლერანტობის ცენტრი, რომლის შემადგენლობაშიც შედის ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების საბჭოები. მათ მიზანია უმრავლესობასა და უმცირესობას შორის, შექმნან

[7] სახალხო დამცველის ანგარიში 2016 გვ435-438

დიალოგისთვის ხელისშემწყობი პირობები, გამოავლინონ დისკრიმინაციისა და ქსენოფობიის შემთხვევები და აშ.

ცენტრს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ეთნიკური უმცირესობების უფლებების დაცვაში. ამ კუთხით, იგი უმრავლესობისა და უმცირესობის ჯგუფებს შორის მრავალმხრივი დიალოგის ხელშემწყობ პირობებს ქმნის, ახორციელებს საგანმანათლებლო ღონისძიებებს, ავლენს რელიგიურ და ეთნიკურ ნიადაგზე დისკრიმინაციისა და ქსენოფობიის შემთხვევებს, სწავლობს ამ სფეროში არსებულ ტენდენციებს და სისტემური ხასიათის პრობლემებს. ის მთავარ საქმედ უმცირესობის საბჭოთა კორდინირებას ასახელებს „საბჭოები წარმოადგენენ სივრცეს, სადაც რელიგიურ და ეთნიკურ უმცირესობებს საშუალება აქვთ იმსჯელონ და იმუშაონ მათთვის მნიშვნელოვან საკითხებზე. ამჟამად, ეთნიკური უმცირესობების საბჭო 100-მდე უმცირესობათა საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციას აერთიანებს“[8]

ცენტრი თავის სტრატეგიულ საქმედ ასახელებს : ტოლერანტობის ცენტრი ეთნიკურ უმცირესობათა საბჭოსთან ერთად ყოველწლიურად ახორციელებს შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფციისა და სამოქმედო გეგმის მონიტორინგს, რითაც ხელს უწყობს ეროვნული ინტეგრაციის პროცესში უმცირესობების ჩართულობას.[9]

ცენტრის საშუალებით გამოიცა ენციკლოპედიის სტილის ნაშრომები „რელიგიები საქართველოში“ და „ეთნოსები საქართველოში“ ამ წიგნში ასახულია საქართველოში არსებული ეთნო-კულტურული მრავალფეროვნება. მათი ისტორიები, ტრადიციები და დღევანდელი ყოფა.

ამავე ცენტრის ორგანიზებით, ოთხი წლის მანძილზე გამოიცემოდა ჟურნალი ,,სოლიდარობა“, სადაც ეთნიკური უმცირესობების პრობლემებს არაერთი სტატია დაეთმო.

---

[8] ტოლერანტობის ცენტრის შესახებ, http://www.ombudsman.ge/ge/specializirebuli-centrebi/tolerantobis-centri

[9] ტოლერანტობის ცენტრის შესახებ, http://www.ombudsman.ge/ge/specializirebuli-centrebi/tolerantobis-centri

ომბუდსმენის აპარატი და პირადად სახალხო დამცველი, მუდამ ზრუნავენ ეთნიკური უმცირესობის ინტეგრაციასა და მათი რესურსის რეალიზებაზე. ისინი მართავენ დებატებს ამ პრობლემების გადასაჭრელად და სხვადასხვა გზების მოსაძებნად. მათ შორისაა, 2017 წლის 27 იანვარს გამართული დებატები, რომლის მიზანი იყო უმცირესობისთის, საინფორმაციო საშუალებების ხელმისაწვდომობის პრობლემის მოგვარება და ეფექტური სისტემის ჩამოყალიბება. უმცირესობები კომპაქტურად დასახლებულნი არიან რეგიონებში, არ ფლობენ ქართულ ენას, შესაბამისად ისინი ინფორმაციას რუსული, სომხური, აზერბაიჯანული და თურქული საინფორმაციო გამოშვებებიდან იღებენ.

„ამგვარი საინფორმაციო გარემო აფერხებს სამოქალაქო ინტეგრაციის პროცესს და სახელმწიფოს მიერ სამოქალაქო ინტეგრაციის ხელშესაწყობად განხორციელებული პროგრამების ეფექტურობას. ამ საკითხის გადაწყვეტის შესახებ წინადადებითა და რეკომენდაციით სახალხო დამცველმა განვლილ წლებში არაერთხელ მიმართა საქართველოს მთავრობას, რაც ასახულია საქართველოს სახალხო დამცველის საპარლამენტო ანგარიშებში“[10], – განაცხადა სახალხო დამცველმა უჩა ნანუაშვილმა.

ეროვნულ უმცირესობათა საბჭოს წევრებმა ასევე აღნიშნეს : ქართული მედია ძირითადად გულგრილია ეროვნული უმცირესობების თემატიკის მიმართ, გარდა ამისა, არის შემთხვევები, როცა მედია ეთნოსთა შორის შუღლის გამღვივებელ სტატიებსაც კი აქვეყნებს; ამავდროულად უმცირესობებით კომპაქტური ჩასახლების ადგილებში ნეგატიურ საინფორმაციო საქმიანობას ეწევიან უცხო ქვეყნები, განსაკუთრებით ძლიერია რუსული მედია ორგანიზაციების პროპაგანდა.[11]

საქართელოში არსებობს შერიგების სამინისტრო, რომელიც ქვეყანაში ეთნიკური უმცირესობისა და ქართული საზოგადოების ურთიერთშეთანხმებულ თანაცხოვრებას

---

[10] „საჯარო დებატები „საინფორმაციო გარემო ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში“ http://www.ombudsman.ge/ge/sadjaro-debatebi/sainformacio-garemo-erovnuli-umciresobebit-kompaqturad-dasaxlebul-regionebshi.page

[11]„საჯარო დებატები „საინფორმაციო გარემო ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში“ http://www.ombudsman.ge/ge/sadjaro-debatebi/sainformacio-garemo-erovnuli-umciresobebit-kompaqturad-dasaxlebul-regionebshi.page

უნდა უზრუნველყოფდეს. მათი მთავარი სტრატეგია დემოკრატიის განმტკიცება, ეთნიკური უმცირესობის დაცვა და მათი ინტეგრაცია. უმცირესობები საქართველოს მასშტაბით კომპაქტურად არიან დასახლებულები, როგორც ქალაქად, ისე სოფლად. სამინისტროს მიზანი კი მათი დაცვა და ქართულ საზოგადოებასთან ინტეგრირებაა. სამინისტრო ხელს უნდა უწყობდეს, ქვეყნის მოსახლეობის დიდი ნაწილის პოტენციალის სრულ რეალიზებას.

საქართველოს მთავრობის განკარგულებაში ,,სამოქალაქო თანასწორობის და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიაში[12]“ ასახულია შემდეგი :

- ეთნიკურ უმცირესობათა წარმომადგენლები თანაბრად და სრულფასოვნად მონაწილეობენ სამოქალაქო და პოლიტიკურ ცხოვრებაში.
- ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლებისთვის ხელმისაწვდომია ხარისხიანი განათლება ყველა დონეზე და გაუმჯობესებულია სახელმწიფო ენის ცოდნა.
- შენარჩუნებულია ეთნიკურ უმცირესობათა კულტურა, წახალისებულია ტოლერანტული გარემო.

ამავე დოკუმენტში არის ერთ-ერთ ქვეთავი, სადაც სამინისტრო მასმედიას მოუწოდებს ეთნიკური უმცირესობების საკითხის ზუსტ გაშუქებას, თანასწორობის და შემწყნარებლობის პრინციპის დაცვას და მათთვის გასაგებ ენაზე ინფორმაციის მიწოდების უზრუნველყოფას.

საქართველოს მთავრობა ამავე დოკუმენტით მთავარ ვალდებულებებს საზოგადოებრივ მაუწყებელს აკისრებს. მათ უმცირესობათა ინფორმირებულობას სთხოვს მიმდინარე სოციალურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ პროცესებთან დაკავშირებით.

დოკუმენტში დასახელებულია შემდეგი მიზნები:

- ეთნიკური უმცირესობის ენებზე სამაუწყებლო პროგრამების და ელექტრო/ბეჭდური მედიის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის ხელშეწყობა.

[12] საქართველოს მთავრობის განკარგულება №1740 2015

- სამაუწყებლო პროგრამაში ეთნიკური უმცირესობის თემატიკის გაშუქება და უმცირესიბის წარმომადგენელთა მონაწილეობის უზრუნველყოფა,
- მედიაში ტოლერანტობისა და კულტურული პლურალიზიმის ხელშეწყობა.

ეთნიკური უმცირესობის კუთხით უმნიშვნელოვანესია ასევე ECMI რეკომენდაციები, რომელიც ურჩევს სახელმწიფოს, რომ დააკვირდეს შეხედულებებს, როგორც პოლიტიკურ საზოგადოებაში, ისე მედიაში უმცირესობათა ჯგუფების მიმართ სტერეოტიპების, აკვიატებული აზრებისა და მცდარი შეხედულებების ინტერპრეტირებას. მოუწოდებს რომ იხმარონ ყველა ღონე, რათა გააუმჯობესოს კომუნიკაციის ხარისხი, შექმნას ახალი ურთიერთობები უმცირესობასა და საზოგადოების სხვა ნაწილს შორის. შეუწყოს ხელი ტოლერანტულ და მშვიდ თანაარსებობას. [13]

„ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ“ [14]ევროპული ჩარჩო კონვენცია ითვალისწინებს :

- რომ პლურალისტური და ჭეშმარიტად დემოკრატიული საზოგადოება არა მხოლოდ პატივს უნდა სცემდეს ერვნული უმცირესობისადმი კუთვნილი თითოეული პირის ეთნიკურ, ლინგვისტურ და რელიგიურ თვითმყოფადობას, არამედ ასევე უნდა შექმნას სათანადო პირობები, რომლებიც საშუალებას მისცემენ მათ გამოამჟღავნონ, დაიცვან და განავითარონ თავიანთი თვითმყოფადობა;
- ითვალისწინებენ რა, რომ ტოლერანტობისა და დიალოგის ატმოსფეროს შექმნა აუცილებელია, რათა კულტურული მრავალფეროვნება წარმოადგენდეს არა დანაწილების, არამედ თითოეული საზოგადოების სულიერი გამდიდრების წყაროსა და ფაქტორს; [15]

„ეთნიკურ უცმირესობათა პრობლემატიკა ძირითადად განათლების, სამოქალაქო და პოლიტიკური ინტეგრაციისა და ჩართულობის, ინფორმაციის ხელმისაწვდომობის საკითხებში მკვეთრად ვლინდება.განათლების სფეროში არსებული საჭიროებების დაკმაყოფილების პროცესზე უარყოფითად აისახება

[13] ევროპული კომისია რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ მოხსენება საქართველოს შესახებ (მონიტორინგის მეხუთე ციკლი) მიღებულია 2015 წლის 8 დეკემბერს გამოქვეყნდა 2016 , 17, 18, 20

[14] ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ“ ევროპული ჩარჩო კონვენცია გვ 2

[15] ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ“ ევროპული ჩარჩო კონვენცია გვ 2

სახელმწიფო ენის არცოდნა ან ცოდნის დაბალი დონე.“[16] ვკითხულობთ „აღმოსავლეთის პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნული პლატფორმის“ ერთ-ერთ დოკუმენტში.

უმცირესობის შესახებ მედია მონიტორინგი 2011წელს ჩაატარეს გიორგი თაბაგარმა და დიანა ჩაჩუამ „სიძულვილის ენის წინააღმდეგ ბრძოლა საქართველოში: “ლაკმუსის ტესტი ადამიანის უფლებებისა და სოციალური ტოლერანტობისათვის“, სადაც ასახულია ეთნიკური, რელიგიური და სექსუალური უმცირესობების გაშუქება პრესაში 2011 წლის 1 მაისიდან 31 ივლისის ჩათვლით. მონიტორინგის დასკვნაში ვკითულობთ „მონიტორინგისას შესამჩნევი გახდა ქართულ პრესაში ანალიტიკური სტატიების ნაკლებობა სექსუალურ, რელიგიურ და ეთნიკურ უმცირესობებთან მიმართებაში. მონიტორინგის შედეგები ნათლად მიუთითებს ფაქტზე, რომ ქართულ პრესაში უმცირესობების მიმართ ჰომოფობიური დამოკიდებულების არაერთ გამოვლინებას აქვს ადგილი. ეს კი იმაზე მეტყველებს, რომ საქართველოში ჯერაც მწვავედ დგას შემწყნარებლობის და განსხვავებულობის მიღების პრობლემა.“[17]

[16] დემოკრატია, ადამიანის უფლებები, ეფექტური მმართველობა და სტაბილურობა „უმცირესობათა მდგომარეობა საქართველოში“ გვ8, 2016

[17] გ.თაბაგარი & დ. ჩაჩუა „სიძულვილის ენის წინააღმდეგ ბრძოლა საქართველოში: ლაკმუსის ტესტი ადამიანის უფლებებისა და სოციალური ტოლერანტობისათვის“ 2011

თავი II - ახალი მედია და მისი როლი

ახალი მედიის ხანა მე-20 საუკუნის 90-იანი წლებიდან იწყება, ამ დროისთვის ელვისებური სისწრაფით იქმნებოდა მილიონამდე ვებგვერდი. 90-იანების ბოლოს google-ი აარსებს საძიებო სისტემას. შემდეგ ჩნდება ტერმინი MUD (მულტისამომხმარებლო დომეინი), ეს იყო ვირტუალური სამყარო, ჩათით და სხვადასხვა თამაშებით. მომხარებელი სხვადასხვა ბრძანებას ტექსტურად ბეჭდავდა. შემდეგ, შეიქმნა სპეციალური სისტემა BBS (Bulletin Board System), სადაც შეეძლო მომხმარებელს წაკითხვა ახალი ამბების. ამავდროულად, შეიქმნა ორმოცამდე ვებ გვერდი, ოდნავ მოგვიანბეით, 2003-2004 წლებში ინტერნეტ ასპარეზე გამოჩნდნენ ცნობილი ვებ გვერდები LinkedIn, HI5, MySpace და ა.შ

ახალი ხანა ონლაინ სივრცეში 2004 წლიდან იწყება facebook-მა გადატრიალების მოხდენა შეძლო. მან მალევე მოიპოვა მსოფლიო პოპულარობა და დღეს ერთ-ერთ მთავარ ადგილს იკავებს მედია მარკეტინგში. მომხმარებელი მთლიანად ინტერნეტდამოკიდებული გახდა შემდეგ ვებებზე Facebook, LinkedIn, MySpace, Twitter, YouTube, Flickr, WordPress, Blogger, Typepad, LiveJournal, Wikipedia, Wetpaint, Wikidot, Second Life, Del.icio.us, Digg, Reddit, Lulu.

საქართველოში ახალი მედიის განვითარება განსხვავებული ტემპით წარიმართა ყველაფერი გაცილებით შენელებულსად მოხდა. თავდაპირველად, შემოვიდა ჩათები, რომელბიც სხვადასხვა კორპირაციების შიდა სივრცეში არსებობდა. ოდნავ მოგვაინებით შეიქმნა ფორუმები სადაც მომხმარებელს შეძლო, როგორც სხვადასხვა თემის განხილვა და ერთმანეთთან კომუნიკაციის წარმართვა, ისე კომპანიების მიერ შეთავაზებული პროდუქტის მიღება. საქართველოში დღეს არსებულ სოციალურ. მედიებს შორის Facebook უდიდესი პოპუარულობით სარგებლობს.

სოციალური მედიის უპირატესობაა მისი გავრცელების სისწრაფე, ხელმისაწვდომობა, პირველ რიგში მაინც მისი სიმარტივეა ნებისმიერი ადამიანი ხდება მისი მწარმოებელი თუ მას ამის სურვილი აქვს, ეს მედის მონოპოლიზაციას უშლის ხელს და სამოქალაქო ჟურნალისტიკის საწინდარია. სამწუხაროდ ახალი მედია შლის ზღვარს პროფესიონალ და არაპროფესიონალ ჟურნალისტებს შორის. ტრადიციულ მედიაში ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებლობა კომპანიას, და რედაქტორს ეკისრება, ახალ

მედიაშ კი არავინა პასუხისმგებელი. მედიის მკვლევარმა კეტრინ პარკერმა შეიმუშავა არხების მატრიცა, სადაც წარმოადგინა განმარტებები, სასარგებლო არხების ტიპები, არხების დადებითი და უარყოფითი მხარეების, შესაძლებლობებისა და საფრთხეების ანალიზი.

ახალი მედია ეს არის ონლაინ ურთიერთობის უწყვეტი ფორმა, რომელიც საშუალებას აძლეს მომხმარებლებს სხვადასხვა საიტების საშუალებით მუდმივად ადევნებდნენ თვალს მათთვის საინტერესო მოვლენებს და შეეძლოთ სხვადასხვა ფაქტზე აზრის დემონსტრირება.

ტრადიციული კომერციული მედია საშუალებები ძირითადად რეკლამით არსებობენ ეს კონტეტნტი კი ონლაინ მედიამ ელვისებური სისწრაფით აითვისა

"დღეს ყველაზე დიდ და ცნობილ მედიასაშუალებებსაც კი უჭირთ და ვერც უწევენ კონკურენციას ამ ბაზარზე გუგლს, ფეისბუკს, თუ ტვიტერს. მედიისთვის ნელ-ნელა რეკლამის ერთადერთი მომწოდებელი გუგლი ხდება." [18]

ყოველდღიურად ინტერნეტის საშუალებით 1000 პოსტი, ტვიტი და ვიდეო იტვირთება. საზოგადოება სიახლეს თავისი თვალით ეცნობა და შესაბამისა მისი გამავრცელებელიც ხდება ონლაინ მედიაში. მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში მიმდინარე სიახლებს ტრადიციულ მედიაზე სწრაფად მოქალაქე ჟურნალისტები ყოვედღიურად ავრცელებენ. „ბევრი ექსპერტი ახლა ჟურნალისტიკის როლს სოციალურ მედიაში გავრცელებული სხვადასხვა ინფორმაციის გადამოწმებაში ხედავს." გვ 157

პროფესიონალი ჟურნალისტის პირდაპირი ვალდებულებაა, გადამოწმებული ინფორმაციის გავრცელება, ამიტომ მას უფრო მეტი ველდებულება აკისრია მის გავრცელებამდე. ჟურნალისტმა ხელი არ უნდა შეუწყოს სიცრუის ტირაჟირებას და სოციალურ ქსელებზე დაყრდნობით არ უნდა დაწეროს სტატია ან შეუწყოს ხელი ვიდეოს გავრცელებას.

[18] ინტერნეტი და ჟურნალისტიკა ელექტრონული გზამკვლევი სტუდენტებისა და დამწყები რეპორტიორებისთვის გვ14

III თავი -ეთნიკური უმცირესობები საქართველოში

მე-20 საუკუნის 90-იან წლებში სსრკ-ს დაშლის შემდეგ, ამიერკავკასიის ტერიტორიაზე არსებული წონასწორობა მძაფრმა მოვლენათა ცვლილებების ჯაჭვმა დაარღვია. ამ მოვლენებს თან ახლდა სოციალურ, ეკონომიკური და პოლიტიკური კრიზისი. რასაც გარკვეულ ტერიტორიებზე ეთნიკური დაპირისპირება მოჰყვა. რუსული ძალები შეეცადნენ ეს ვითარება საკუთარი მიზნებისთვის გამოეყენებინათ. გახშირდა იძულებითი მიგრაციები და გარკვეული ტერიტოტრიების ეთნოგრაფიული სტრუქტურის, ძირეული ცვლილება მოხდა.[19]

ეთნოკონფლიქტის გაღვივებას ხელი შეუწყო ეთნოცენტრიზმა, რაც გულისხმობს ოპოზიციური ჯგუფის ,ტრადიციული კულტურის, ნეგატიურ ჭრილში განხილვას და საკუთარი კულტურის განდიდებას. ამ მოვლენამ XX-XXI საუკუნეში საქართველოში ტრაგიკული მოვლენები გამოიწვია.

საქართველოს ტერიტორიაზე უძველესი დროიდან მიმდინარეობდა ინტენსიური მიგრაცია, უფრო ხშირად ეს მეზობელი ქვეყნებიდან ხდებოდა. შემოდიოდნენ და მკვიდრდებოდნენ, ნაწილი განიცდიდა ასიმილაციას, უმეტესობა კი თავის ეთნიკურ სპეციფიკას ინარჩუნებდა.

მახლობელ აღმოსავლეთში მიმდინარე პროცესების შედეგად ჯერ კიდევ ძვ.წ. მე-2 საუკუნეში გამოიწვია სომხების პირველი მიგრაცია. [20]

ოსების მიგრაციის თარიღი კი არაზუსტია, მეცნიერთა ნაწილი მიიჩნევს რომ მათი მიგრირება მე-3 მე-5 საუკუნებში მოხდა, უკავშირებენ ჩრდილოეთ კავკასიაში მონღოლების გაბატონებას. მაგრამ მეცნიერეთა ნაწილი მიიჩნევს, რომ მათი ძირითადი დასახლება XVIII- საუკუნეში მოხდა. მათი დასახლებები შიდა ქართლის ჩრდილოეთ ნაწილში, მოხდა - მდინარეების ლიახვისა და ქსნის ხეობაში.

ასევე აზრთა სხვადასხვაობას იწვევს, აფხაზთა ეთნოგენეზისი და დღევანდელი აფზხაზეთის ტერიტორიაზე განვითარებული მოვლენები. მკვლევართა ნაწილი მიიჩნევს, რომ ამ მხარეზე მნიშვნელოვანი გავლენა იქონია ჩრდილოეთ კავკასიდან

[19] მ. ბასილაია „ეთნოსები საქართველოში გვ14
[20] მ. ბასილაია „ეთნოსები საქართველოში გვ15

გადმოსულმა ადიღურმა ტომებმა. მეცნიერთა ნაწილი კი მიიჩნევს, რომ მე-2 საუკუნის წყაროებში მოხსენიებული აფსილები და აბაზგები აფხაზურ-ადიღური მოდგმის ტომები იყვნენ და თანამედროვე აფხაზი ხალხის წინამორბედები არიან.

XV-XVI - საუკუნეში მახლობელ აღოსავლეთში განვითარებულმა მოვლენებმა ხელი შეუწყო თურქმენული ტომის ჩამოსახლებას, მათ თათრები ეწოდებოდათ. (აზერბაიჯანელების წინაპრები) [21]

XVII- საუკუნეში ქართლის მეფე გიორგი იძულებული გახდა შაჰ აბასისთვის ლორეს ტერიტორია გადაეცა, სადაც მან სახანოო დაარსა და მუსლიმი ბორჩალოს ტომები ჩამოასახლა.

XVII-XVIII - საუკუნეში აღმოსავლეთ საქართველოში ჩამოასახლდნენ ჰასანლუს ტომის ნაწილი, რომელბიც მარნეულის და გრდაბნის ტერიტორიაზე დასახლდნენ. ასევე ჩამოსახლდა ნასიბუს ტომი, რომელმაც დმანისსი ხეობა დაიკავა.

შაჰ-აბასის ლაშქრობის შემდეგ კახეთში დაღესტნებლები დასახლდნენ. ირან-თურქეთის მეტოქეობის პერიოდში კი ქურთული ტომები გამოჩნდნენ.

ერეკლე მეორემ XVIII - საუკუნეში ქართლში ოსები ჩამოასახლა. ასევე სპილენძისა და ვერცხლის მოპოვების განვითარების მიზნით ბერძნები ჩამოასახლა ახტალაში, სადაც სპილენძისა და ვერცხლის საბადოები იყო. ქართველი მეფეები არათუ უპირისპირდებოდნენ მიგრანტებს არამედ უქმნიდნენ ხელსაყრელ პირობებს მიგრაციისთის, ქართველი მეფები მათთვის შეღავათიან ფასებს აწესებდნენ.

რუსეთის გაბატონების ხანაში, აქტიურად მიმდინარეობდა ჩამოსახლება სხვადასხვა ეროვნების. ასახლებდნენ რუსეთის ეკლესიასთან დაპირისპირებულ ჯგუფებს , სომხებს, გერმანელებს... 1820-იან წლებში რუსეთის ტერიტორიიდან ასახლებდნენ საქართველოში ე.წ. „რასკოლნიკებს“.

საქართველოს ტერიტორიაზე თავისი ქვეყნისგან შევიწროებული, სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლები, იყრიდნენ თავს.

ეთნიკური უმცირესობებისა და ქართველების ხანგრძლივი თანაცხოვრების შედეგად ახალი ეთნოკულტურა შეიქმნა. უმცირესობებმა გაითვალისწინეს ქართული ადათ-წესები და თავის მხრივ ზეგავლენა მოახდინეს ადგილობრივზე. ეს ზეგავლენა

[21] მ. ბასილაია „ეთნოსები საქართველოში გვ15-20

ნათლად აისახა ქართულ საცხოვრისზე, სამეურნეო ნაგებობებზე, მეურნეობის გაძღოლის წესებზე, ქორწინებაზე, გლოვის და დაკრძალვის რისტუალებზე. ამ თანამშრომლობის შედეგად შეიქმნა მეტად თავისებური და მეტად განსხვავებული კულტურა. [22]

საქართველოში ფეოდალური ხანიდან არსებობდა მოსახლეობის პერიოდული აღწერა, მასზე დაყრდნობით შეგვიძლია ფრაგმენტული სურათის წარმოდგენა .

ეროვნება	1979	1989	2002
ქართველები	68,8%	70,1%	83,8%
აზერბაიჯანელები	5,1%	5,7%	6,5%
სომხები	9,0%	8,1%	5,7%
რუსები	7,4%	6,3%	1,5%
ოსები	3,2%	3,0%	0,9%
აფხაზები	1,7%	1,8%	0,1%
ქურთები	0,5%	0,6%	0,4%
ბერძნები	1,9%	1,9%	0,3%
ვაინახები	-	0,1%	0,2%
უკრანელები	0,9%	1,0%	0,2%
ასურელები	0,1%	0,1%	0,1%
ებრაელები	0,6%	0,5%	0,1%

დიაგრამა .1 ეთნოსები საქართველოში[23]

აფხაზები

აფხაზეთის მოსახლეობა 1989 წლის მონაცემებით საქართველოს ტერიტორიაზე შეადგენდა 95,9 ათას, აფხაზეთის ტერიტორიაზე - 93,3 ათასი, ხოლო მთლიანად სსრ კავშირში - 105 ათასი. [24]2003 წლის აღწერით აფხაზეთის თვითგამოცხადებულ რესპუბლიკაში მათი რაოდენობა შეადგენდა 94,5 ათას კაცს. მათი ენა არის აფხაზური,

[22] მ. ბასილაია „ეთნოსები საქართველოში, გვ 22-24, 2008
[23] მ. ბასილაია „ეთნოსები საქართველოში“, გვ 26, 2008
[24] მ. ბასილაია „ეთნოსები საქართველოში“, გვ55, 2008

რომელიც იბერიულ-კავკასიურ ენათა ჯგუფს მიეკუთვნება, დღეს წარმოდგენილია ბზიფური და აბჟურული დიალექტები.

ქართულ აფხაზურ ურთიერთობები, როგორც ზემოთ აღვნიშნე მრავალწლიანი ისტორია აქვს. საუკუნების განმავლობაში ქართლები და აფხაზები ერთად მშვიდობიანად ცხოვრობდნენ. აფხაზს ლიტერატურაში ხშირად ვხვდებით, როგორც გმირობის, ერთგულების, თავდადების, ვაჟკაცობის სიმბოლოდ, ყოველივე ამის რღვევა და ცვლილება გარე ძალების ზემოქმედების შედეგად მოხდა.

1940-იან წლებში განსაკუთრებით დაიწყო სიტუაციის დაძაბვა, ამას განაპირობებდა კომუნისტების მიზანმიმართული ანტიეროვნული საშინაო პოლიტიკა. ეთნიკურ დაპირისპირებებს კი მიზანმიმართულად აღვივებდნენ. აფხაზეთში 1956 წელს დაიწყო გამოსვლები, სადაც აჟღერებდნენ ფრაზას, რომ აფხაზეთი საქართველოს უნდა გამოჰყოფოდა. ამ ყველაფერს ერთჯერადი ხასიათი ჰქონდა და 1980 წლამდე მნიშვნელოვანი არეულობები არ მომხდარა. ამ პერიოდში საბჭოთა კავშირი მნიშვნელოვნად დასუსტებული იყო. დაიწყო ნაციონალისტური გამოსვლები და პოლიტიკოსებს შორის კონფლიქტები, რაც ეთნიკურ დაპირისპრიებასა და1992-1993 წლების ომში გადაიზარდა, რასაც ათასობით ადამინის სიცოცხლე ემსხვეპრლა და აფხაზეთის დატოვება 245 ათას ქართველს მოხუდა.

ამ ომის შედეგად დღემდე, აფხაზეთი თვლის თავს დამოიკიდებელ რესპუბლიკად, რასაც არც საქართელო და არც საერთაშორისო ორგანიზაციები არ აღიარებენ.

აფხაზეთში შუა საუკუნიდან დღემდე არიან მართმადიდებელი ქრსიტიანები და სუნიტი მუსლიმები, მათ შორის რაიმე სახის რელიგიური დაპირისპირება არ ყოფილა. ასევე თაყვანს სცემენ, ნაწილი ტრადიციულ რწმენებს, აქვთ ღმერთების პანთეონი, რომელსაც სათავეში უდგას მთავარი ღმერთი ანცვა.

ოსები

ოსები საქრთველოში მცხოვრებ ეთნიკურ ჯგუფებს შორის ერთ-ერთი მრავალრიცხოვანია, ჩამორჩება სომხებს, რუსებს და აზერბაიჯანელებს. მე-20 საუკუნის

90-იან წლებში 164 ათასი იყო. მა[25]თი შემცირება მოხდა 90-იან წლებში წარმოშობილი ეთნოკონფლიქტის შედეგად.

1921 წლის საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის დამხობის და მისი გასაბჭოების შედეგად 1922 წელს შეიქმნა სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებელი რესპუბლიკა, რომლის შემადგენლობაშიც ქართული ისტორიული ტერიტორიებიც შევიდა, 1990 წელს საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად და საბჭოთა კავშირში ნაციონალისტური მოძრაობების გავლენით ოსეთის ტერიტორიაზე ვითარება დაიძაბა. ოსთა ნაწილი რუსეთში გადავიდა და 2002 წელს საქართველოში მათ რიცხვი მხოლოდ 38 ათასი იყო. [26]

ოსთა წინაპრები მზისა და ცის ღმერთ პაპაიას ცემდნენ თაყვანს, ასევე ჰყავდათ ღმერთები, თაბით და არესა. დღეს ოსები ძირითადად ქრისტიანები არიან.
მათ აქვთ თავიანთი ოსური ენა.

ებრაელები

ებრაელები იუდაიზმის მიმდევრები არიან, ისინი ცხოვრობენ სხვადასხვა ტერიტორიებზე და ჩაბმული არიან იქაურ პოლიტიკურ, კულტურ და სოციალურ პროცესებში. ებრალების სახელმწიფო, ისრაელია, ენა კი - ივრითული აქვთ.

2002 წლის მოსახლეობის აღწერის მიხედვით საქართელოში მხოლოდ 4000 ებრელი ცხოვრობდა. [27]

მე-19 საუკუნეში ებრაელბი მძიმე ეკონომიურ პირობებში მოხვდნენ, რადგან რუსეთმა ისინი უმიწოდ დატოვა და კანონგარეშედ გამოაცხადა. იძულებულნი გახდნენ წვრილმანი ვაჭრობით ერჩინათ თავი, რამაც ვაჭარ ებრაელის სტერეოტიპი შექმნა. ისტორიულად ისინი მიწათმოქმედების და სამეურნეო ცოდნით იყვნენ დატვირთულნი.

ებრაელები ისტორიულად მუდმივად ჩართულნი იყვნენ ქართულ პოლიტიკურ პროცესებში და დესპანებად ხშირად იყვნენ წარგზავნილნი სამეფო კარიდან. [28]

---

[25] მ. ბასილაია „ეთნოსები საქართველოში“ გვ 74, 2008
[26] მ. ბასილაია „ეთნოსები საქართველოში“ გვ 73, 2008
[27] მ.ბასილაისა „ეთნოსები საქართველოში“ გვ 90, 2008

[28] მ. ბასილაია „ეთნოსები საქართველოში“ გვ 102, 2008

ებრაელები ქართველებთან საუკუნების განმავლობაში მშვიდობიანად ცხოვრობდნენ და მათ კულტურის ასიმილაცია ხდებოდა. ასევე გამოირჩეოდნენ ქველმოქმედებითაც, ეხმარებოდნენ უსახლკაროებს და იფარებდნენ მათხოვრებს.

სომხები

სომხები საქართველოს მოსახლეობის 6% წარმოადგენენ. ძირითადად ისინი განსახლებულნი არიან თბილისში სამცხე-ჯავახეთში, ქვემო ქართლში, აჭარასა და აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში.

საქართველოში სომხების ცხოვრებას ქართველი მეფეები არათუ უპირისპირდებოდნენ არამედ, ხელს უწყობდნენ მათ ასიმილაციას და მშვიდობიან თანაცხოვრებას.

ჯავახეთში მცხოვრები მოსახლეობის დიდმა ნაწილმა არ იცის ქართული ენა. ადგილობრივი მოსახლეობა მხოლოდ სომხურად ან რუსულად საუბრობს. 1990-იანი წლებიდან დღემდე, ქართული ენის შესწავლის საკითხი, ინტეგრეაციის პოილიტიიკის მთავარი მიზანი იყო. ბოლო დროს განთლების სისტემაში მიღებული რეფორმები, მხოლოდ წლების შემდეგ გამოიღებს შედეგ , თბილისში მცხოვრები სომხები განსხვავებულ ყოფაში არიან. მათ მუდმივი კონტაქტი აქვთ ქართულად მოსაუბრე მოსახლეობასთან. სავაჭრო, თუ სოციალური ურთიერთობა მათ თავისდაუნებურად უქმნით ვალდებულებას ენის შესწავლის.

სამცხე-ჯავახეთში სომხური მოსახლეობისთვის ინფორმაციის მთავარი წყარო სომხური ან რუსული ტელე არხები და ონლაინ მაუწყებლებია. საზოგადოებრივ მაუწყებელზე კვირაში ერთხელ გადის სომხური საინოფრმაციო გამოშვება, რაც არა თუ საკმარისია არამედ არაფერია მათი ინფორმაციულობის ხარისხის ამაღლებისთვის, რაც დღეს ინტეგრაციის ერთ-ერთი მთავარი საშუალებაა. რეგიონში პერიოდულად გამოდის ადგილობრივი გაზეთები, თბილისში კი საბჭოთა პერიოდიდან, გამოდის გაზეთი ,,ვრასტან'' .

თბილისში სომხებისთვის გაცილებით უკეთესი პირობებია შექმინილი. არის დრამატული თეატრი პეტრის ადამიანის სახელობის, ასევე კულტურის ცენტრები, სკოლებს სომხურ ენაზე, როგორც თბილისში ისე რეგიონშიც ვხვდებით. არსებობს ასევე

სომეხი მწერლებისა და საზოგადო მოღვაწეების პანთეონი. სომხური მოსახლეობისთვის ასევე მნიშვნელოვანია თბილისში არსებული სომხური კულტურის ძეგლები.[29]

აზერბაიჯანელები

აზერბაიჯანელები ქართული მოსახლეობის 7% შეადგენენ, მათი ძირითადი ნაწილი სოფლად ცხოვრობს. ისინი საქართველოს ტერიტორიაზე ხანგრძივი პერიოდის განმავლობაში სახლდებოდნენ და ადაპტირდებოდნენ. პირველად IV საუკუნეში ჩნდებიან. საქართველოში ჩამოსულები განიცდიან აზერბაიჯანული, ირანული თურქული და ქართული კულტურის ზეგავლენას. ინარჩუნებენ რა მუსლიმურ სარწმუნოებას და ადათებს. [30]

საქართველოში მოღვაწეობდნენ გამოჩენილი აზერბაიჯანელი მწერლები: ფაზილ ხან შეიდა, აბბა საგულე, აღა ბაქუხანლი და სხვა. ასევე მოღვაწეობდა თბილისში გამოჩენილი დრამატურგი მირზა ფათალი ახუნდაზდე.

აზერბაიჯანში აქტიურად ისწავლება ქართული ენა , მაგრამ ამის მიუხედავად მოსახლეობის დიდმა ნაწილმა არ იცის, სახელმწიფო ენის არცოდნის გამო ვერ უყურებენ ქართულ ტელეარხებს და ვერ ეცნობიან ქართულ მედიას. საზოგადოებრივ მაუწყებელზე კვირაში ერთხელ გადის აღნიშნულ ენაზე საინფორმაციო გამოშვება, ისინი ძირითადად ეცნობიან მშობლიურ და თურქულ ენაზე არსებულ მედიასაშუალებებს. 1921 წლიდან თბილისში აზერბაიჯანულ ენაზე გამოდის გაზეთი ,,გურჯისტანი“ , რომლის გავრცელების არეალიც სუსტია. მოსახლეობა ეცნობა აზერბაიჯანსა და თურქეთში მიმდინარე პროცესებს მათი ინფორმაციის ხარისხი საქართველოში მიმდინარე პროცესებზე ძალიან სუსტია.[31]

აზერბაიჯანულ ენოვანი სკოლები და კულტურის სახლები მნიშვნელოვან როლს ასრულებს მათი ცნობიერების ამაღლებაში. ასევე ივანე ჯავახიშვილის უნივერსიტეტში არსებული მოსამზადებელი პროგრამა, რომელიც აზერბაიჯანელ აბიტურიენტებს საშუალებას აძლევს ისწავლონ ქართლ უნივერსიტეტში და მიიღონ შესაბამის სფეროში განათლება. აგრეთვე მარნეულში ქართულ ენოვანი მასწავლებლები სპეციალურად

[29] მ. ბასილაია „ეთნოსები საქართველოში“ გვ 104-126, 2008
[30] მ.ბასილაია „ეთნოსები საქართელოში“ გვ 128, 2008
[31] მ.ბასილაია „ეთნოსები საქართველოში“, გვ 148, 2008

არიან წარგზავნილები განათლების სამინისტროს მიერ, ისინი მათ ქართული ენას ასწავლიან.

ბერძნები

პირველი ბერძენი საქართველოში ძვ.წ. II ათასწლეულის დამდეგს მოხვდა, როდესაც პროტობერძნული ტომები აქაველები და იონელები შემოვიდნენ საქართველოს ტერიტორიაზე. კოლონიზაციის ეპოქაში პირველი ინტენსიური დასახლება დაიწყო საქართველოს ტერიტორიაზე. აქ მცხოვრებ ბერძენთა უმრავლესობა ცნობილნი არიან პონტოს ბერძენთა სახელით, როგორც ზემოთ აღვნიშნე პირველი ბერძნული დასახლება ერეკლე მეორის დროს გაჩნდა, როდესაც ისინი მოიწვიეს ახტალის ოქროს, ვერცხლის და სპილენძის საბადოების დასამუშავებლად. მათ დასახლება მისხანში შექმენს.[32]

1828-1829 წლების რუსეთ-თურქეთის ომის შემდეგ, თურქეთის ჩრდილო-აღმოსავლეთ ვილაიეთებიდან ქრისტიანული მოსახლეობის დიიდ ნაწილი ამიერკავკასიაში დასახლდნენ და მათ შორის იყვნენ ბერძნებიც, ისინი წალკის რაიონში დასახლდნენ და ძირითადად თურქულ ენაზე საუბრობდნენ. საქართველოში შემოსული ბერძნების ნაწილი ბერძნულად საუბრობდნენ (პონტოს ბერძნები) ნაწილი კი, თურქულად. ქვეყანაში იქმნებოდა სკოლები, კულტურული ცნეტრები ბერძნებისთვის, რაც საბჭოთა პერიოდში რეპრესიების დროს გაუქმდა: ბერძნული სკოლები, თეატრები, ტიპოგრაფიები, პედაგოგიური ტექნიკუმები. შედარებით უკეთესი ვითარება შეიქმნა 1983 წელს, როდესაც თბილისის ქალაქკომში ბერძნული სექცია გაიხსნა, იმართებოდა კონცერტები ანსამბლების ,,ელადასა“ და სირტაკის მონაწილეობით.

თბილისში 1992 წლიდან გამოდის ბერძენთა გაზეთი „ელინიკი დიასპორა“, სადაც საქართველოში მცხოვრებ ბერძენთა ცხოვრებაა ასახული. თვეში ერთხელ ქართულ, რუსულ და ბერძნულ ენაზე გამოდის და მცირე არეალში ვრცელდება.

[32] მ. ბასილაია „ეთნოსები საქართველოში“, გვ 149-162

IV თავი - მაუწყებლობების ანალიზი

ეთნიკური უმცირესობების საკითხის ასახვა მედიაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პროცესია, რომელიც მედია ორგანიზაციების ვალდებულებად ითვლება. მათ ასახვის სიხშირესა და ხარისხზე ჩავატარე კვლევა. TOP.ge -ს საშუალებით ავარჩიე ორი ყველაზე რეიტინგული ონლაინ მედია მაუწყებლობა. აღნიშნული ვებ გვერდი არის ერთადერთი საშუალება საქართველოში, რომლის მეშვეობითაც დგინდება საიტების რეიტინგი. ვებ გვერდის რედაქტორის სურვილის და მიხედვით წევრიანდება top.ge-საიტზე და შემდეგ ხდება დათვლა. გვეძლევა საშუალება ამ საიტის დახმარებით დავაკვირდეთ ქართულ რეიტინგებს და სტატისტიკურ ინფორმაციებს.

ტოპ საიტებთან ერთად შევარჩიე საზოგადოებრივი მაუწყებლის ვებ გვერდი. აღნიშნული საიტი, არ არის კომერციული და მისი ხელმძღვანელების პირდაპირ ინტერესს წარმოადგენს ეთნიკური უმიცრესობების საკითის ბალანსირებული გაშუქება. საზოადოებრივი მაუწყებელი რეგულირდება კანონით და მისი არ დაცვა კანონდარღვევად ითვლება. ის ვალდებულია შექმნას მრავალფეროვნება, როგორც ენობრივი, ისე ეთნიკური კუთხით.

ასევე ჩავატარე liberali.ge-ს მონიტორინგი. რადგან ვფიქრობ, რომ ის ხელისუფლებისგან ოპოზიციურად განწყობილი ვებ-გვერდია და მას უფრო მეტად კრიტიკულად შეუძლია წერა ეთნიკურ პრობლემებზე.

ონლაინ მაუწყებლობათა საკვლევი პერიოდი კი, 2016 წლის მარტიდან 2017 წლის მარტამდეა. აღნიშნულ პერიოდში განვახორციელე საიტების მონიტორინგი. ჩავატარე თვისობრივი კვლევა ქვემოთ ჩამოთვლილი კითვების მიხედვით.

მთავარი საკვლევი კითხვა:

როგორ ხდება მედიაში უმცირესობის ასახვა?

დამატებითი საკვლევი კითხვები:

- უარყოფითი და დადებითი მხარეები.
- ეროვნული ან ეთნიკური უმცირესობების პრობლემებით მედიის დაინტერესების დონე, ასახვის სიხშირე და ხარისხი;
- ეთნიკური სახის საკითხების გაშუქებისას არსებული ძირითადი პრობლემები
- ჩანს, თუ არა სიძულვილის ენა ?

- გათვლილია, თუ არა უმცირესობებზე?
- რამდენად ინტენსიურად შუქდება?
- როგორია გაშუქები ტონი?
- რომელ წყაროებს იყენებენ მათ გაშუქებისას?
- გამოყენებულია თუ, არა ვიზუალური მასალა და არის ეს მასალა ღირებული?

ეთნიკური უმცირესობების მიმართ მედიის ინტერესი, თითქმის ქვედა ზღვრამდეა დაყვანილი. მედია მხოლოდ დღესასწაულზე, ან რაიმე მოვლენაზე თუ, ამახვილებს ყურადღებას, გაშუქება იმდენად მცირედ ხდება, რომ რთული აღმოჩნდა მედია ანალიზი. აფხაზეთისა და ოსეთის საკითხი კონფლიქტურ და პოლიტიკურ ჭრილშია გაშუქებული და ამ ტიპის სტატიებში ეთნიკური ნიშნით ინტერესი არ ჩანს. აზერბაიჯანელების და სომხების მიმართ ინტერსი ძალიან მცირეა მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში 2014 წლის სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის მიხედვით აზერბაიჯანელი 233 000, ხოლო სომეხი -168 100.[33] მცირერიცხოვანი ქვეყნისთვის ეს არაა დაბალი მაჩვენებელი. სტატიებში თითქმის არ არის დაცული ჟურნალისტური სტანდარტი, ძირითადად ზედაპირულად არის ასახული ესათუის მოვლენა და არც ფაქტებით არაა გამყარებული.

ეთნიკურ უმცირესობაზე სტატიის მომზადებისას, ჟურნალისტი მთავარ ნიშნულად ხედავს, ამ საკითხის მომზადებისას პრობლემატურ, არასრულფასოვან და დაჩაგრულ ადამიანებთა ჯგუფს და არა როგორც თანამოქალაქეს.

ჟურნალისტებზე ასევე, დიდ ზეგავლენას ახდენს საზოგადოება და პოლიტიკა. თუ, რომელიმე პოლიტიკოსი, ან პარტია დაინტერსედება კონკრეტული ეთნიკური ჯგუფით, მედია იმ შემთხვევაში აშუქებს მათ. სტაბილურობის დროს უმცირესობებზე სტატიებსაც მცირე რაოდენობით ვხვდებით. პოლიტიკური დაძაბულობის დროს სტატიები ძირითადად არა წმინდა ეთნიკური კუთხით შუქდება, არამედ ხდება საკითხის გამწვავება და მისთვის კონფლიქტური და პოლიტიკური მიმართულების მიცემა.

[33] სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი) მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერა, გვ8, 2016

მედია მონიტორინგის დროს აღმოვაჩინე კიდევ ერთი პრობლემა, უმცირესობების გაშუქებისას რესპოდენტებად ისინი თითქმის არ გვევლინებიან. სტატიაში ჩანს არა მათი კომენტარი, არამედ ჟურნალისტის აზრი მათზე, რაც ასევე დაუშვებელია ჟურნალისტიკის ეთიკის ქარტიის მიხედვით.

კვლევის შედეგად აღმოვაჩინე, რომ მათ მიმართ მცირე ინტერესთან ერთად თითქმის არ გამოიკვეთება სიძულვილის ენა. სტატიების ზედაპირულობის მიუხედავად ჟურნალისტები გარკვეულწილად აკმაყოფილებენ მედია სტანდარტებს და იცავს ეთიკის ქარტიის მე-7 პრინციპს.

Ambebi.ge

Top მაუწყებლობებს შორის პირველ ადგილზე ambebi.ge მოხვდა. მას საშუალოდ ერთი დღის განმავლობაში 109 476 მომხმარებელი სტუმრობს. ვებ გვერდი გათვლილია ფართო მასებზე და ძირითადად გასართობ, სკანდალურ თემებს ვხვდებით. ამ ვებ გვერდზე სტატიების წაკითვა შესაძლებელია მხოლოდ ქართულ ენაზე, რაც უქმნის ეთნიკურ უმცირესობებს მათი გაგების პრობლემას. არ აქვთ, არც რუსულ და არც სომხურ და აზერბაიჯანულ ენაზე თარგმანი. ეს გვერდი, არც მათ მიმართ დიდი ინტერესით გამოირჩევა ძირითადად ვხვდებით ისეთ სტატიებს, რომლებიც ყველა საიტზეა.

ერთ-ერთი სტატია, რომელსაც ამ ვებ-გვერდზე შეხვდებით იყო ქართველ მასწავლებელზე, რომელიც აზერბაიჯანელ მოსწავლეებს სადახლოს სკოლაში ქართულს ასწავლის. სტატიაში არის ერთადერთი წყარო, სკოლის მასწავლებელი და ის გადმოგვცემს, თუ როგორ ვითარებაშია აზერბაიჯანული სკოლა. ასევე, ის საუბრობს მოსწავლების სახელით და ამბოს, რომ მას დაფაზე დასაწერად უკარნახეს, რომ სკოლა ცუდია. სტატიიდან ვიგებთ, რომ მოსწავლეებს უწევთ არასათანადო პირობებში განათლების მიღება, არ არის გათბობა და სხვა კომუნიკაციისთვის საჭირო წყაროები სკოლაში არსებული გარემო, არც სწავლის პროცესისთვისაა შესაბამისი. მათი უფლებები ირღვევა, არ აძლევენ შარვლის ჩაცმის საშუალებას. სტატია ამ ინფორმაციით წყდება, ჟურნალისტს შეეძლო წყაროების მოძიება: სკოლის დირექტორი, მშობელი, განათლების სამინისტროს წარმომადგენლის, ან ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლისგან ინფორმაციის მიღება, ის კი მხოლოდ ნათია მანიას კომენტარით შემოიფარგლა. სტატია

არის ზერელე და შეიმჩნევა პრობლემის მიმართ ლოიალურობა. სტატიაში არ ჩანს სიძულვილის ენა, არსებული პრობლემა ეთნიკურ უმცირესობასთან პირდაპირ კავშირშია, ჟურნალისტს შეეძლო მეტად სიღრმისეული გაეხადა სიუჟეტი. არ ჩანს პრობლემის ამსახველი ვიზუალური მასალა მხოლოდ დაფაზე დაწერილ წარწერას ვკითხულობთ.

ამ ვებ გვერდზე, საინტერესო და ინფორმაციით დატვირთულ სტატიას ვკითხულობთ ქართველი ქალის ცხოვრებაზე, რომელიც ბოშას მიათხოვეს. ჟურნალისტური სტანდარტები გარკვეულწილად დაცულია, მაგრამ სათაური, არც ისე სწორად არის არჩეული: "ქორწილის პირველ ღამეს თუ არ მოხდა სქესობრივი აქტი, საქალწულე აპკს ხელით არღვევენ" - ბოშაზე გათხოვილი ქართველი ქალის სულისშემძვრელი ნაამბობი“. სტატიაში ვკითულობთ ქალის განვითარებას, მის ცხოვრებას ბოშა ქალიდან - სახალხო დამცველის აპარატის წევრამდე. ბევრი საინტერესო სათაურის არჩევა შეიძლებოდა და არ იყო საჭირო სულის შემძვრელი სათაურის გამოტანა. სტატიაში ასახულია ეთნიკური უმცირესობის ერთ-ერთი ჯგუფის ბოშების რთული და პრობლემებით დატვირთული ცხოვრება. სტატიას ყავს ერთადერთ გმირი, რომელიც ყვება მათ ცხოვრებას, არც ექსპერტის და არც არასამთავრებო ორგანიზაციის კომენტარი არ ჩანს. ვიზუალური მასალა გამოყენებულია. ჟურნალისტი არ იყენებს სიძულვილის ენას, მაგრამ ამის გამოყენების საშუალებას აძლევს რესპოდენტს.

2017 წლის 12 მარტს აჭარაში განვითარებულ მოვლენებზე არაერთ სტატიას ვკითხულობთ ambebi.ge - ზე. 12 მარტის არეულობას წინ უძღვოდა „მოსამზადებელი პერიოდი“, მიმდინარეობდა მიტინგები არასამთავრობო ორგანიზაცია "კორუფციასთან ბრძოლის საინფორმაციო ცენტრის" ხელმძღვანელი მერაბ ღოღობერიძის ორგანიზებით. ის იხსენებს „სუფრაზე, სადაც ბატონი კახა ბუხრაიძე იმყოფებოდა ადგილობრივ პოლიციელებთან ერთად, იქ მან ჰომოფობიური განცხადებები გააკეთა, რაც გამოიტანეს სააშკარაოზე საპატრულოს თანამშრომლებმა. ეს მე პირადად არ მომისმენია, გადმოცემით ვიცი... რომ მოქალაქეები აღნიშნავდნენ, საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა რამდენჯერმე უთხრეს ფრაზები თათრებთან დაკავშირებით და ა.შ. მე მყარი მტკიცებულებები გამაჩნია და ვიცი ამ პოლიციელების შესახებ, ჩვენ არაერთი ფაქტი გვაქვს მოქალაქეებისგან იმ აგრესიაზე და წამოძახილებზე, რაც ხდებოდა

საპატრულოს თანამშრომლებიდან. არ შეიძლება პოლიცია ასე აგრესიულად ექცეოდეს მოქალაქეებს... “ მის კომენტარში ჩანს უზუზსტობა ფაქტის დამახინჯება. ერთის მხრივ ამბობს, რომ პირადად არ გაუგია გადმოცემით იცის, მეორე მხრივ კი მყარ მტკიცებულებებზე საუბრობს, ჟურნალისტი ხელს უწყობს მცდარი აზრის გავრცელებას. არ ჩანს მეორე მხარის კომენტარი ან იმ პიროვნებების აზრი, რომლებიც უშუალოდ ამ ფაქტს შეესწრნენ.

9 მარტის მიტინგი იყო შემდეგი სახელწოდების ,,აჭარა აჭარლებს“ . შემდეგ მოყვა 11-12 მარტის არეულობები. სტატიებს, რომლებსაც ვებ გვერდზე ვკითულობთ სრული სურათის აღქმის საშუალებას არ გვაძლევს. ნიუსები ფრაგმენტული, ეპიზოდურია, ბეგრაუნდი არ გააჩნია და მკითველი ვერ ხვდება, თუ როგორ მოხდა მცირე დროში ე.წ. ,,მოლოტოვის კოქტეილისა'' და ,,რკინის ჯაჭვებით'' შეიარაღებული მოსახლეობის მობილიზება. ვიზუალური მასალის სიმრავლის მიუხედავად აზრის გაგება ძალიან რთულია, მხოლოდ ვხედავთ ქაოსს, დაპირისპირებას და ზუსტი ანალიზი თან არ სდევს, რაც დაგვეხმარებოდა მოვლენის სრულ სისტემატიზაციაში. ფოტო და ვიდეო მასალა, რომელიც ambebi.ge-ზეა განთავსებული აღებულია ipn.ge-დან, რასაც ფოტოებზე თანდართული ipn.ge-ს ნიშნული ამტკიცებს.

ნიუსში ვხვდებით სოციალური ქსელებიდან ამონარიდებს. ნიუსის ანალიზის შედეგად ვერ ვხვდებით მოვლენა არის თუ, არა ეთნიკური ნიშნით დაპირისპირების მაგალითი. თუ, ეს გარე ძალების მიერ პროვოცირებული კონფლიქტის გამოწვევის მცდელობაა. ჟურნალისტები იყვნენ ერთ-ერთი იმ ძალათაგან, რომლებიც ამ მოვლენის გავრცელებას და მოსახლეობის მეტ მობილიზებას უწყობდა ხელს.

ბათუმის მოვლენებზე შექმნილი სათაურები, არაა შესაბამისობაში შემდეგ დაწერილ სტატიებთან, მაგალითად : "სამმართველოს რაა? დედის..." - ბათუმის გუშინდელი აქციის აგრესიული მონაწილეების ფრაზები

"ეს მე პირადად არ მომისმენია, გადმოცემით ვიცი..." - რა კომენტარს აკეთებს ღოღობერიძე, რომელიც აჭარის საპატრულოს უფროსის წინააღმდეგ კამპანიას აწარმოებდა

ამ სათაურებიდან ჩან ს ჟურნალისტი, როგორ ცდილობს მეტი სიმძაფრე მისცეს ისედაც მწვავე საკითხს.

ipn.ge

ინტერპრესნიუსი top მაუწყებლობებს შორის მოხვდა, ambebi.ge-სგან განსხვავებით ამ ვერბ გვერდზე ვხვდებით რუსული ნიუსების გვერდსაც, მაგრამ ხშირად სტატია, რომელიც ქართულ გვერდზე დევს არაა ნათარგმნი რუსულად, რაც ეთნიკური უმცირესობისთვის გაგების პრობლემას ქმნის. ასევე არაა დაცული ბალანსი ეთნიკურ ჭრილში. ახალ ამბებს სხვა საიტების მსგავსად აქაც ნაკლებად ვხვდებით. მედია მონიტორინგის პროცესის დროს Ipn.ge-ზე დაკვირვების შედეგად, გამოიკვეთა შემდეგი მიგნებები:

- ლაკონური და მშრალი სტატიები
- ბეგრაუნდის უქონლობა
- ანალიტიკური სტატიების სიმცირე
- ეთნიკური ნიშნით სტატიების სიმცირე
- ნეგატიური ტონი, იშვიათ შემთხვევებში უარყოფითი ტონი
- სათაურის და ვიზუალური მასალის შეუსაბამობა
- ბალანსის დაუცველობა
- ფაქტების სიმცირე
- რესპოდენტების სიმცირე
- უმცირესობებზე ძირითადად არ არის გათვლილი (სტატიები მნიშვნელოვანი ნაწილი არა რუსულად ნათარგმნი და არც უმცირესობის ენებზეა.

ipn-ზე ვხვდებით სტატიას სათაურით „მშვიდობის ფონდის“ დამფუძნებელი ეთნიკურ უმცირესობებს ხვდება“. სტატიაში ვკითხულობთ გიორგი ტომასიანის შესახებ, რომელიც მარნეულში ეთნიკურ სომხებს შეხვდა, სადაც ის საუბრობს შემდეგს: „საქართველოს სხვადასხვა რეგიონში კომპაქტურად მცხოვრები ეთნიკური უმცირესობები ყურადღების დეფიციტს განიცდიან. ხშირად, ისინი ვერ ახერხებენ საკუთარი პრობლემების შესაბამის უფლებამოსილ ორგანომდე, ან პირამდე მიყვანას. სწორედ ამიტომ, ჩვენ დეტალურად განვიხილავთ ამ პრობლემებს ადგილობრივ მოსახლეობასთან და ვმუშაობთ თითოეული პრობლემის მოგვარების ხელშეწყობის

მიმართულებით როგორც ადგილობრივ, ასევე ცენტრალურ ხელისუფლებასთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან.“ [34]

ამ კომენტარით ვიგებთ, რომ ზემოთ აღნიშნული ფონდი აპირებს სამომავლოდ უმცირესობის საკითების პრობლემების მოგვარებას და გადაჭრის გზების პოვნას. სტატიაში არ ჩანს მეორე მხარე, უმცირესობის წარომომადგენელი, ბალანსი აქაც დარღვეულია, ზედაპირულადაა შედგენილი. გაურკვეველია თუ, რა გზებით აპირებს ტომასიანი უმცირესობაზე ზრუნვას, როგორია მისი სამომავლო გეგმები. ვიზუალური მასალად გამოყენებულია მხოლოდ ფოტო სურათი, მასზე გამოსახულია გიორგი ტომასიანი უკანა ფონზე კი, სავარაუდოდ, ორი უმცირესობის წარმომადგენელია ასახული. კარგი იქნებოდა, მეტი თვალსაჩინოების გამოყენება ვიზუალური ეფექტის შექმნისთვის.

სახელმწიფო უწყების კომენტარებში ხშირია ადამიანის უფლებების დაცვაზე ეთნიკური ნიშნით დისკრიმინაციაზე საუბარი. მათ შორისაა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მიხეილ ჯანელიძე, რომელიც ოკუპირებულ ტერიტორიებზე ადამიანის უფლებების დარღვევაზე საუბრობს და პრობლემის მოგვარების გზად მსოფლიო ორგანიზაციების დახმარებას ასახელებს. ჯანელიძე თავის კომენტარში საუბრობს აფხაზეთსა და ოსეთში ეთნიკური ნიშნით დისკრიმინაციაზე. ამ ყველაფერს Ipn.ge ერთი წინადადებით გადმოგვცემს და გაურკვეველია თუ რა ტიპის დისკრიმინაცაიაზეა საუბარი, რომელი ეთნოსის დისკრიმინაცია ხდება ოკუპირებულ ტერიტორიაზე და აშ. არც ეთნიკური უმცირესობის კომენტარი არაა სტატიაში.

სააგენტო ipn.ge ეთნიკური უმცირესობების შესახებ ინტერესდება ძირითადად მაშინ, როდესაც რომელიმე სამინისტორ ან მინისტრი გადადგამს კონკრეტულ ნაბიჯს, ან უბრალოოდ კამპანიიას წამოიწყებს. შერიგების სამინისტრო ერთ-ერთია, რომლის პრესკომფერენციების შესახებ აქვეყნებს, ხშირად აღნიშნული გვერდი. მათ შორისაა, სტატია სათაურით „არაქართულენოვანი აბიტურიენტებისთვის უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის ცნობადობის ასამაღლებლად საინფორმაციო კამპანია ჩატარდა“ . სტატიიდან ვიგებთ, რომ აღნიშნულმა სამინისტრომ მიაწოდა ინფორმაცია მე-11- მე-12

[34] „მშვიდობის ფონდის“ დამფუძნებელი ეთნიკურ უმცირესობებს ხვდება“

კლასელბეს, მათ მიმართ მინიჭებული შეღავათბის შესახებ. სტატიაში საუბრობს ჟურნალისტი და არის ერთი კომენტარი აღნიშნული სამინისტროს აპარატიადნ, როგორც სხვა სტატიებში აქაც დარღვეული ეთნიკური ბალანსი, უმცირესობის წევრი კვლავ არ გვევლინება რესპოდენტის სახით.

აღნიშნულ ვებ გვერდზე სომხების გენოციდის 101-ე წლისთავთან დაკავშრებით, მხოლოდ ორ სტატიას ვნახულობთ, ერთი ეს არის, ერთგვარი განცხადება 2016 წლის 24 მარტს სათაურით „საქართველოს სომეხთა სათვისტომო თურქეთის საელჩოსთან ტრადიციულ მანიფესტაციას არ გამართავს“ და კომენტარიც აღებულია სათვისტომოს გვერდიდან ”ქვეყანაში და რეგიონში შექმნილი დაძაბული და რთული ვითარებიდან გამომდინარე, საქართველოს ხელისუფლების პოზიციის, შფოთვისა და თხოვნის გათვალისწინებით, მოსალოდნელი პროვოკაციების თავიდან აცილების მიზნით საქართველოს სომხეთის სათვისტომომ გადაწყვეტილება მიიღო, ამ წელს თავი შეიკავოს 24 აპრილს თურქეთის საელჩოსთან ტრადიციული მანიფესტაციის გამართვისგან. ამჯერად, გამონაკლისის სახით, 24 აპრილს 14:00-საათზე დაგეგმილი ღონისძიება გაიმართება ავლაბრის წმ. ეჩმიაძინის სომხური ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიაზე”,[35] ხოლო, მეორე სწორედ კომენტარში აღნიშნული მიტინგის ანონსია და მათ მოთხოვნებზეა საუბარი. ამის შესახებ, სათვისტომოს საინფორმაციო ცენტრის ხელმძღვანელის სანდრო ოჰანინი საუბრობს და ერთადერთი რესპოდენტიც ამ სტატიაში სწორედ ისაა. ოჰანინი თხოვს ქართულ ხელისუფლებას აღიარონ სომხების გენოციდი. ჟურნალისტს შეეძლო სტატიაშივე ჩაერთო მთავრობის წარმომადგენლის, ექსპერტის ან არასამთავრებო ორგანიზაციის კომენტარი, შესაბამისად ჩანს ჟურნალისტის გულგრილი დამოკიდებულება საკითხისადმი. გამოყენებულია ვიზუალური მასალა, როგორც ფოტო ისე ვიდეოს სახით და შეესაბამება აღნიშნულ სტატიას. 2017 წლის მარტში კი ipn.ge-ზე ამ დღესთან დაკავშირებით სიახლეს ვერ შეხვდებით.

[35] „საქართველოს სომეხთა სათვისტომო თურქეთის საელჩოსთან ტრადიციულ მანიფესტაციას არ გამართავს“

საზოგადოებრივი მაუწყებელი

საზოგადოებრივი მაუწყებლის ვებ გვერდზე შედარებით უფრო მრავალრიცხოვან სტატიებს ვკითულობთ ეთნიკური ნიშნით. მაუწყებლობის შესახებ კანონის მე-16 მუხლის მიხედვით საზოგადოებრივი მაუწყებელი ვალდებულია:

„თ) პროგრამებში ასახოს საზოგადოებაში არსებული ეთნიკური, კულტურული, ენობრივი, რელიგიური, ასაკობრივი და გენდერული მრავალფეროვნება.“[36]

საზოგადოებრივი მაუწყებლის გვერდზე ვაწყდებით მნიშვნელოვან პრობლემას. სტატიები შედგენილია, ახალი ამბების მიხედვით ის, რაც ტელემაუწყებლობის ბადეში ხვდება, იდენტური სახით გადმოტანილია წერილობითი ფორმით და ვიზუალურ მასალად კი, გამოყენებულია იგივე ვიდეო, რაც ტელე ეთერში გავიდა. საქმის გამარტივების მიზნით გამოყენებულია ეს ხერხი, რაც ინფორმაციის სიმცირეს და ტექსტური მასალას უფუნქციოს ხდის. უფრო მეტიც, ვიდეო მასალა უფრო ვრცელია შედის რესპოდენტების კომენტარები, წერილობითი ფორმით კი არა. ფოტო მასალა ვიდეოზე გადაღებული ფოტოებია, რაც ასევე დაბალ ხარისხზე მიუთითებს. ხშირად სტატია, 2-3 აბზაცს შეადგენს და ერთგვარი მცდელობაა იმის, რომ მოსახლეობა დააინტერესოს და ახალ ამბებს უყურონ ვებ გვერდზე ვიდეოს სახით.

საზოგადოებრივი მაუწყებლის საიტზე ვკითხულობთ სტატიას შემდეგი სათაურით „პროექტთან „გასაგებ ენაზე ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება ეთნიკური უმცირესობებისთვის” დაკავშირებით პრესკონფერენცია გაიმართა”, ეს ინფორმაცია, მართლაც პირდაპირ კავშირშია ეთნიკურ უმცირესობასთან. საზოგადოებრივი მაუწყებლის პირდაპირი მოვალეობაა შექმნას თანასწორი ტელე-ეთერი ნიუსიდან კი ვიგებთ, რომ ისინი ამაზე მუშაობენ და მნიშვნელოვან ნაბიჯებსაც დგამენ. ერთ-ერთი ნაბიჯი კი სამაუწყებლო ბადეში 19:00 და 20:00 საათებზე ყოველდღიურად ქართულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენაზე მოამბის შექმნაა, რაც მათი ვაკუუმიდან გამოსვლის და ინფორმაციის ყოველდღიურად მიწოდების საშუალაებას შექმნის. კომენტარებიც მრავაფეროვანია, ამის შესახებ საუბრობს იან კელი - აშშ-ის ელჩი საქართველოში, გრიგოლ გოგელია - საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს

[36] სახალხო დამცველის განცხადება საზოგადოებრივი მაუწყებლის ახალი ხელმძღვანელობის მიერ წარმოდგენილი სამოქმედო გეგმის თაობაზე

თავმჯდომარე, გიორგი ბარათაშვილი - საზოგადოებრივი მაუწყებლის გენერალური დირექტორი და ნათია კუპრაშვილი - საქართველოს რეგიონულ მაუწყებელთა ასოციაციის ხელმძღვანელი.

საზოგადოებრივი მაუწყებლის ვებ გვერდზე ვკითხულობთ სტატიას შემდეგი სათაურით „სადახლოსა და ფოკაში ეთნიკური უმცირესობებისთვის ქართული ენის შემსწავლელი კურსები დასრულდა“, აქვე უკვე ყველაფერი ნათქვამია, სიუჟეტიდან რაიმე განსხვავებულს ვერ ვიგებთ, როგორც ზემოთ აღნიშნულ სტატიებში აქაც, არ არიან გამოყენებული უმცირესობის წარმომადგენლები. ვერ ვიგებთ თუ რა ასააკზე იყო გათვლილი ეს კურსი? რომელ საფეხურზე იყვნენ და რა შეძლეს ორი კვირის განმავლობაში. სტატია წყაროების სიმცირის გამო ბუნდოვანი და ფრაგმენტულია.

მაუწყებლის საიტზე ვხვდებით, სიახლეს ბოშებთან დაკავშირებით. “უმცირესობის საკითხთა ევროპული ცენტრისა” და „სამოქალაქო ინტეგრაციის სამმართველოს წარმომადგენლები ბოშათა თემის წარმომადგენლებს შეხვდნენ“. შეხვედრის მიზანი ბოშების პრობლემების გაცნობა და მათი ინფორმირება იყო. „კამპანია მიზნად ისახავს მოწყვლადი ეთნიკური უმცირესობების მხარდაჭერას, მათი უფლებების დაცვას და საზოგადოებასთან ინტეგრაციას.” ვკითხულობთ ნიუსში. წყაროებად გამოყენებულია: ელენე პროშიკიანი „უმცირესობის საკითხთა ეროვნული ცენტრის“ წარმოამდენელი და ელისო ლომიძე „შერიგების და სამოქალაქო საკითხების სახელმწიფო აპარატის“ წარმომადგენელი, ბოშების კომენტარს კი ნიუსში ვერ ვხდებით. კომენტარი წარმოდგენილია ვიდეოს სახით. სიუჟეტის მეტი მრავალფეროვნებისთვის ჟურნალისტს უნდა ჩაეწერა უმცირესობის წარმომადგენელის კომენტარი.

ერთფეროვანი და მცირე, ინფორმაციის მიწოდების სტილის, ახალი ამბების გვერდით გვხვდება წყაროებით დატვირთული და ეთნიკურ უმცირესობის პრობლემის ასახვისკენ მიმართული სიუჟეტებიც, მათ შორისაა სოფელ დუზაგრამასა და კალინინოში მცხოვრები სკოლის მოსწავლეების მთავარი პრობლემა, ისინი ქართულ ენას სკოლაში დღეში ერთი საათი სწავლობენ. საჯარო სკოლაში მოსწავლეთა უმეტესობა ეთნიკურად აზერბაიჯანელია, მათი ინტეგრაცია ქართულ საზოგადოებაში სწორედ სკოლიდან იწყება, რასაც სიუჟეტიდან ვიგებთ, რომ ფაქტიურად არ ხდება. რესპოდენტებად გვევლინებიან, როგორც განათლების მინისტრი ალექსანდრე ჯეჯლავა, აგრეთვე

ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლები: დამხმარე პედაგოგი თალეჰ ფაშაევი, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი ცარინა ლიპარტელიანი, და სკოლის მოსწავლე. სიუჟეტი ვიზუალურად მრავალფეროვანია, წარმოდგენილია ორი სკოლა და მოსწავლეები. სიუჟეტი იწყება აზერბაიჯანელი მოსწავლით, რომელიც ქართულად ამბობს ლექსს. ეს ერთის მხრივ მიუთითებს პრობლემაზე, მეორე მხრივ კი საკითხის ვიზუალიზაციის საშუალებას ქმნის.

ამასთანავე, ვხვდებით საინფორმაციო ტიპის სტატიებსაც სადაც, ღონისიძიების, პრესკონფერენციის და სხვა ზედაპირულ ახალ ამბების ასახვა ხდება, წყაროებად ძირითად სხვადასხვა სამინისტროს წარმომადგენლები და სახალხო დამცველი გვევლინება.

სომხეთის გენოციდთან დაკავშირებით 2016 წლის მარტში ახალ ამბებში მათი მიტინგის შესახებ ვიდეოს ვხვდებით, 2017 წელს კი, საზოგადოებრივი მაუწყებელი ამ საკითხთან დაკავშირებით არ აქვეყნებს სიახლეს, როგორც Ipn.ge.

ეს თარიღი სომხური სათვისტომოსთვის უმნიშვნელოვანესია და ამ დროს მედიის უმოქმედობა, მათ მიმართ ინტერესის უქონლობაზე მეტყველებს. საზოგადოებრივი მაუწყებელი, როგორც ზემოთ აღვნიშნე, ვალდებულია, დაიცვას ბალანსი და თუ, ქართულ მნიშვნელოვან მოვლენებს, პირდაპირ ეთერში აჩვენებს, ვალდებულია, იგივე გააკეთოს უმიცრესობისთვისაც.

2017 წელს საზოგადოებრივი მაუწყებელი არ ინტერესდება სომხების გენოციდით, მაგრამ ის ახალ ამბებში საუბრობს აზერბაიჯანელების ხოჯალოს გენოციდთან დაკავშირებით, რაც ქმნის საფუძველს ვიფიქროთ, რომ საზოგადოებრივი მაუწყებლზე პოლიტიკური ძალები ახდენენ გავლენას და თავისი ინტერესების მიხედვით წარმართავენ. ეთნოსებს შორის პრივილეგიების მინიჭება ხდება, რაც ასევე სავალალო შედეგის მომტანია ქვეყნისთვის.

სახალხო დამცველი ეთნიკური უმცირესობის საინფორმაციო გარემოზე წვდომასთან დაკავშიერბით, როგორც პირველ თავში აღვნიშნე 2016 წლის ანგარიშში საუბრობს. ამ თემასთან დაკავშირებით საზოგადოებრივ მაუწყებელის გვერდზეც ვკითხულობთ. დასახელებულია პრობლემა: უმრიცრესობები ინფორმაციას მეზობელი ქვეყნებიდან იღებენ და ხშირად ეს ინფორმაცია არ არის ობიექტური. წყაროდ სახალხო

დამცველი და სახელწიფო მინისტრის მოადგილეა. სტატიაში საუბარია დებატებზე, გაურკვეველია, ამ დებატებს ვინ ესწრებოდა, იყვნენ, თუ არა იქ ეთნიკური უმცირესობები, სხვა სიახლების მსგავსად, აქაც წყაროდ არ გვევლინება უმცირესობის წევრი.

საზოგადოებრივი მაუწყებლის მონიტორინგი ცხადყოფს, რომ ის არღვევს კანონით დაკისრებულ ვალდებუებებს. არ არის დაცული მის ვებ გვერდზე ეთნიკური მრავალფეროვნება, წყაროებად თითქმის არ გვევლინებიან უმცირესობების წარმომადგენლები, მათ მიმართ დაინტერესება მცირეა. არ არის დაცული ეთნიკური ბალანსი.

Liberali.ge

შემდეგი ვებ გვერდი, რომელითაც მე დავინტერესდი და ჩავატარე მონიტორინგი არის Liberali.ge, მასზე გაცილებით უფრო მეტი საინტერესო და მრავალრიცხოვანი სტატია აღმოჩნდა ვიდრე სხვა ზემოთ აღნიშნულზე. სტატიების უმრავლესობა იმ პერიოდში ჩატარებული კვლევების მოკლე ანალიზია. არსებული პრობლემური საკითებია დასმული და მისი გამომწვევ მიზეზებზე და შედეგებზეა საუბარი. მსგავსი სტილის სტატიები არ შეგხვედრია არც top.ge- დან არჩეულ საიტებზე და არც საზოგადოებრივი მაუწყებლის გვერდზე.

უმცირესობების საკმაოდ დიდი პრობლემაა დასმული სტატიაში სათაურით „რა უბიძგებთ სწავლის მიტოვებისაკენ ეთნიკურ უმცირესობების წარმომადგენელ მოსწავლეებს.“ სტატიაში რიგი პრობლემებია დასმული, მათ შორის უმცირესობისთვის დაბალი ხარისხის წიგნების შექმნა, ბიბლიოთეკაში უმცირესობის ენაზე წიგნების არქონა, ენის არ ცოდნის გამო „ბილინგვური სახელმძღვანელოების“ გაგება შეუძლებელია, ასევე უმცირესობების ადრეულ ასაკში ქორწინება და სხვა. სტატიაში მოშველიებულია საქსტატის მონაცემებიც. საკმაოდ დახუნძლულია ინფორმაციით სტატია და ვფიქრობ, რომ უმცირესობის წარმომადგენელს, რომელსაც ესმის ქართული და შეუძლია ამ ენაზე წაკითხვა აღნიშნული სტატია დააინტერესებს.

შემდეგი სტატია, რომელსაც ვკითხულობთ აღნიშნულ ვებ გვერდზე არის კვლავ კვლევის ანალიზი „კვლევა: ეთნიკური უმცირესობოს წარმომადგენელთა 46%

დიასახლისი ან უმუშევარია.“ აღნიშნული სტატია ისევ და ისვე ანალიზია უკვე ჩატარებული კვლევის, კარგი იქნებოდა ჟურნალისტს კვლევის ანალიზის დროს სტატიაშივე ჩაეშვა კომენტარი უმცირესობის წარმომადგენლის ამ კვლევასთან დაკავშირებით, ან შერიგების სამინისტროს, ან სახალხო დამცველის წარმომადგენლის.

შემდეგი სტატია, რასაც ვაწყდებით აღნიშნულ გვერდზე არის კვლევა “სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტმა” ფონდ “ღია საზოგადოება-საქართველოს” მხარდაჭერით ჩაატარა. სათაურში ვფიქრობ, რომ გარკვეულწილად უარყოფითი კონტექსტი ჩანს „ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელ ქალთა 96% ოჯახში ძალადობას უარყოფს.“ სათაურში შეიძლებოდა დაეწერა 96%-ში ძალადობა არ ხდება, უარყოფს ნიშნავს იმას, რომ ხდება და ამას არ აღიარებენ.

შემდეგი სტატია კვლავ კვლევაა „ეთნიკური უმცირესობის 41% -მა სამედიცინო დახმარება ვერ მიიღო.“ შემდეგ სტატიაში საუბარია „"საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამას პოზიტიური შეფასება აქვს; თუმცა გამოკითხულთა თითქმის მეოთხედი აცხადებს, რომ დაბალი ხელმისაწვდომობა აქვს ან საერთოდ არ მიუწვდება ხელი საყოველთაო ჯანდაცვის სერვისებზე. ამის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი ტერიტორიული ხელმიუწვდომლობაა: ჯანდაცვის ობიექტებს შორის ტერიტორიულად ყველაზე ნაკლებად ხელმისაწვდომი აღმოჩნდა საავადმყოფო, ხოლო ყველაზე ხელმისაწვდომი - აფთიაქი.“ ამ საკითან დაკავშირებით ჟურნალისტს კვლავ შეეძლო ხელისუფლების წარმომადგენლის კომენტარი ჩააეწერა და მხოლოდ კვლევის ანალიზით არ შემოფარგლულიყო. სტატია დადებით ჭრილშია და ვფიქრობ, რომ უცმირესობისთვის საინტერესოა.

საკმაოდ ვრცელ და ინფორმაციით დატვირთულ სტატიას ვკითხულობთ Liberali.ge-ზე სათაურით „ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ ქალთა დასაქმებას არასათანადო განათლება და სახელმწიფო ენის არცოდნა აფერხებს.“ სტატიაში მოშველიებულია 2005 წლის კვლევა და ვფიქრობ, რომ ის ძალიან ძველია და არ შეესაბამება დღევანდელ მდგომარეობას „გაეროს ქალთა ორგანიზაციის - „ქალები თანასწორობის, მშვიდობისა და განვითარებისათვის“ მიერ 2005 წელს ჩატარებული კვლევის თანახმად, საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების

წარმომადგენელ ქალთა მხოლოდ 0,2 -0,2 პროცენტია დასაქმებული სახელმწიფო სამსახურსა და არასამთავრობო ორგანიზაციებში."[37]

სტატიაში ჩართულია უმცირესობის წარმომადგენლის არაერთ კომენატარი, რისი საშუალებითაც სტატია საკმაოდ მრავალფეროვანია, ჩანს ორი მხარის პოზიცია, ერთი მხრივ მარნეულელი ქალი მეჰრიდ ბაირამოვა, რომელსაც არასდროს უმუშავია და ფიქრობს, რომ ეს აუცილებელია, და მეორე მხრივ ელვინ ალიევა, რომელიც მეუღლეს მუშაობის უფლებას არ აძლევს და ფიქრობს, რომ ის სახლში უნდა იჯდეს.

მოშველიებულია ასევე გაეროს გენდერული თანასწორობისა და ქალთა უფლებების ორგანიზაციის მიერ 2014 წელს ჩატარებული კვლევაც, რაც ჩემი აზრით უფრო მეტად შეესაბამება არსებულ რეალობას „კვლევის თანახმად გაირკვა, რომ ხელფასის სახით შემოსავალს ეთნიკური აზერბაიჯანელი ქალების მხოლოდ 2% იღებს, 8% საკუთარ და ოჯახის ხარჯებს სახელმწიფოდან მიღებული სოციალური დახმარებიდან ფარავს, 30% მეუღლის მიერ საზღვარგარეთიდან გადმორიცხული ფულით ისტუმრებს ხარჯებს, 40 პროცენტისთვის კი შემოსავლის ერთადერთი წყარო სოფლის მეურნეობა და მესაქონლეობაა."[38]

სტატიაში ასევე მოშველიებულია სოციოლოგიის სამირა ბაირამოვას კომენტარი და ის ასახელებს, რომ ქალებს შესაბამისი განათლება არ აქვთ და გოგონების დიდი ნაწილი პრიორიტეტს ოჯახის შექმნას ანიჭებს.

ჟურნალისტმა სტატიაში ასევე გვაჩვენა უმცირესობის წარმომადგენელი ქალი, რომელიც რეალიზებულია და საზოგადოებრივ პროცესებშია ჩართული. ვფიქრობ, რომ სტატია საკმაოდ დატვირთულია, როგორც წყაროებით, ისე კვლევებით და საინტერესო ინფორმაციებით. შესაბამისად ის უმცირესობის წარმომადგენლისთვისაც საინტერესო წასაკითი შეიძლება იყოს.

როგოც ვხედავთ ლიბერალზე ვხვდებით ძირითადად კვლევების ანალიზს უმცირესობის საკითხებთან დაკავშირებით. ნათლად შეიმჩნევა განსხვავება სხვა ზემოთ

---

[37]ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ ქალთა დასაქმებას არასათანადო განათლება და სახელმწიფო ენის არცოდნა აფერხებს http://liberali.ge/articles/view/23858/etnikuri-umtsiresobebis-tsarmomadgenel-qalta-dasaqmebas--arasatanado-ganatleba-da-sakhelmtsifo-enis- 04/07/2017

[38] ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ ქალთა დასაქმებას არასათანადო განათლება და სახელმწიფო ენის არცოდნა აფერხებს http://liberali.ge/articles/view/23858/etnikuri-umtsiresobebis-tsarmomadgenel-qalta-dasaqmebas--arasatanado-ganatleba-da-sakhelmtsifo-enis- 04/07/2017

აღნიშნულ სტატიებსა და აღნიშნულ საიტზე არსებულს შორის. აქ ვხედავთ მეტ ინფორმაციას და შესაძებელია ამ საიტით უმცირესობის წარმომადგენლებიც ინტერესდებიან.

V თავი - მედიის თვითრეგულირების სტანდარტი უმცირესობის გაშუქებისას

მედიის თვითრეგულირება საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიით ხდება. ეს არის ჟურნალისტთა დამოუკიდებელი გაერთიანება, ისინი კი ცდილობენ მედიის პასუხისმგებლობის ამაღლებას და პროფესიული სტანდარტების დაცვას. თავდაპირველად ქარტიას 137 ხემომწერილი ჰყავდა დღეს კი, მათი რიცხვი 318-მდე გაიზარდა, მათ ხელი მოაწერეს 11 პრინციპს და დღემდე ცდილობენ მის დაცვას.

ნებისმიერ ინდივიდს შეუძლია მიმართოს ქარტიას, თუ ის ჟურნალისტის სიუჟეტსა, თუ სტატიაში სტანდარტების დარღვევას შეამჩნევს. ის კი თავის მხრივ განიხილავს პროფესიული სტანდარტების დარღვევის ფაქტებს.

ჟურნალისტური ეთიკის ქარტია მედიის რეგულაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ძალაა, ის თავის მისიად ასახელებს :

,,ჟურნალისტური ეთიკის ქარტია საკუთარი მისიის ფარგლებში იღებს, იხილავს ჟურნალისტების მხრიდან პროფესიული სტანდარტების დარღვევის ფაქტებს ქარტიაში შესული განცხადებების საფუძველზე; ეწევა საგანმანათლებლო-შემეცნებით საქმიანობას ჟურნალისტთა პროფესიონალიზმის ასამაღლებლად; თანამშრომლობს ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, მათ შორის, პროფესიულ გაერთიანებებთან; ხელს უწყობს ჟურნალისტური ეთიკის ნორმების პოპულარიზაციას და მათ მიმართ პატივისცემის დამკვიდრებას; ატარებს მედიის მონიტორინგს, კვლევებს და გამოსცემს პროფესიულ პუბლიკაციებს; ლობირებს ჟურნალისტთა უფლებების დაცვას და ჯანსაღი და თავისუფალი მედიაგარემოს შექმნას.'' [39]

დღეს მედია ფაქტიურად უკონტროლაა ქარტიის საშუალებით კი, შესაძლებელია ონლაინ მაუწყებლის მარწუხებში მოქცევა და რედაქციებისთვის ვალდებულებების შექმნა, რათა მეტი იმუშაონ სტანდარტების დაცვაზე და არ იყოს მათვის მთავარი რამდენად კარგად „გაყიდიან“ პროდუქტს.

ჟურნალისტური ეთიკის ქარტის მე-7 პრინციპი ეთნიკური უმცირესობების გაშუქების რეგულაციას ეხება - „ ჟურნალისტს უნდა ესმოდეს მედიის მიერ დისკრიმინაციის

[39] ჟურნალისტური ეთიკის ქარტია http://qartia.org.ge/about_charter/ 14/07/2017

წახალისების საფრთხე; ამიტომ ყველაფერი უნდა იღონოს ნებისმიერი პირის დისკრიმინაციის თავიდან ასაცილებლად რასის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური და სხვა შეხედულებების, ეროვნული ან სოციალური წარმოშობის საფუძველზე ან რაიმე სხვა ნიშნით.[40]“ ვფიქრობ, რომ ეს პრინციპი საშუალებას მისცემს დისკრიმინაციის მცხვერპლ უმცირესობების წარმომადგენელს დაიცვას თავისი უფლებები და ესმოდეს, რომ მისი უფლებების დაცვა ინტერნეტ სივრცეში შესაძლებელია და რეგულირდება ქარტიის მიერ. შესაბამისად არ აქვს მნიშვნელობა ეს იქნება მოქალაქე ჟურნალისტი, თუ პროფესიონალი მისი შექმნილ სტატიაზე საჩივრის არსებობის შემთხვევაშ შესაბამისი რეაგირება მოხდება.

მე-7 პრინციპის დარღვევებთან დაკავშირებით ჟურნალისტური ეთიკის ქარტიას რამდენიმე საქმე აქვს განხილული მათ შორისაა „MDF, GDI და TDI გიორგი გაჩეჩილაძის წინააღმდეგ.“

გიორგი გაჩეჩილაძემ გამოაქვეყნა სტატია ,,თურქული კულტურის ექსპანსია გრძელდება.“ ქარტიის დასკვნაში ვკითხულობთ „აღსანიშნავია, რომ დღეს დღეობით საზოგადოებაში თურქოფობია ერთ ერთი მთავარი გამოწვევაა, აღნიშნული ნიშნით დისკრიმინაციის ფორმა კი ერთ – ერთი ყველაზე გავრცელებული დისკრიმინაციის სახეა, ამას ადასტურებს სახალხო დამცველის ანგარიშიც. ამ ფონზე განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ჟურნალისტების ვალდებულებას, რომ მათ მიერ არ მოხდეს თურქოფობიის წახალისება.“[41]

ქარტიის განცხადებაში ვკითხულობთ, რომ სტატიაში სხვადასხვა ტერმინოლოგიით თურქოფოობიის გაღრმავების ხელშეწყობა ჩანს „ჩემი პირადი აზრია, რომ თურქული სერიალები ჩვენი მოსახლეობის სულიერ დეგრადაციას და ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში ამ ქვეყნის ტრადიციების დამკვიდრებას ემსახურება… ოსმალოთა კულტურული ემანსიპასია მოქმედებას განაგრძობს და ქართველთა უსისხლო და უმტკივნეულო “გათურქებაში” დიდი წვლილი შეაქვს.“ „გათურქება“ ნეგატიურ ჭრილშია მოხსენიებული. ის ნეგატიურ ჭრილში ხელს უწყობს

[40] ჟურნალისტური ეთიკის ქარტია http://qartia.org.ge/charter12/ 14/07/2017

[41] [41]გადაწყვეტილება საქმეზე – MDF, GDI და TDI გიორგი გაჩეჩილაძის წინააღმდეგ

დისკრიმინაციის გაღრმავებას. ქარტიის საბჭოს აზრით სტატია ნაკლებად ეთმობა თურქული სერიალის ხარისხს და მხატვრული ღირებულების კრიტიკას და მთავარ პრობლემად სტატიაში სერიალების თურქული წარმომავლობა სახელდება.

„ჩემი პირადი აზრი გახლავთ: რაც საუკუნეების განმავლობაში ოსმალებმა ცეცხლითა და მახვილით ვერ მოახერხეს, "უწყინარი" თურქული სერიალები მოკლე დროში შეძლებენ და უკვე შეძლეს – ჩვენი მოსახლეობის უდიდესი ნაწილი თურქული კულტურული ტყვეობის მსხვერპლი გახდა და ეს ტენდენცია უფრო და უფრო საშიშ სახეს ღებულობს"[42]. ჟურნალისტი ქართულ და თურქულ ისტორიულ დაპირისპრებას არგუმენტების გარეშე სერიალებთან აიგივებს და დამახინჯებულ ინტერპრეტაციიას ქმნის. ქარტია მიიჩნევს, რომ გიორგი გაჩეჩილაძემ დაარღვია ქარტიის მე-7 პრინციპი.

შემდეგი გადაწყვეტილება, რომელიც ეთნიკური ნიშნით დაპირისპირებაზეა არის „გადაწყვეტილება საქმეზე – გიორგი ტუმასიანი ნანა ძველაიას წინააღმდეგ N69" ვებგვერდზე, http://interfactnews.ge/, ნათარგმნი ნანა ძველაიას სტატია იყო, მის პირველ წყაროს წარმოადგენდა ვებგვერდ http://haqqin.az/ -ზე რუსულ ენაზე გამოქვეყნებული იდენტური შინაარსის სტატია. ქარტია მის ანალიზს აქვეყნებს და მე-7 პრინციპის დარღვევაში ადანაშაულებს ჟურნალისტს.

,,თავისი შინაარსით სტატია ეთნიკური ნიშნით დისკრიმინაციულ ხასიათს ატარებს, კერძოდ, სჭარბობს დამცინავი ფრაზები ეთნიკურად სომეხი მესროპ მაშტოცისადმი, რომელიც მიიჩნევა სომხური დამწერლობის ავტორად, იგი მოხსენიებულია როგორც „ქურდბაცაცა", „თაღლითი", სტატიაში გამოყენებულია ირონიული და დამცინავი ტონი, მაგალითად ცალსახად დისკრიმინაციული და შეურაცხმყოფელია შემდეგი წინადადება – „მეტი რა შეუძლიათ ფანდურის, ლავაშის, ტოლმის, ხაშის, ხალიჩების და ათასობით ხალხური მელოდიის — ანუ, ყველაფერი იმის, რაც პირველად სხვა ხალხებთან ნახეს თავიანთი უბადრუკი გადაადგილების დროს ფინიკიიდან ფრიგიის, აღმოსავლეთ ანატოლიის და სპარსეთის გავლით კავკასიაში, მიმთვისებელ სომხებს?". ამასთან, სტატიაში არ არის მცდელობა, რომ მეცნიერულად დასაბუთდეს ეთიოპიური და

[42] გადაწყვეტილება საქმეზე – MDF, GDI და TDI გიორგი გაჩეჩილაძის წინააღმდეგ

სომხური დამწერლობის იდენტურობა, გადამოწმდეს რელევანტურ რესპოდენტებთან და ა.შ.“[43]

ამ სტატიაში ცალსახად ჩანს ეთნიკური ნიშნით დისკრიმინაცია. ჟურნალისტი პირველ წყაროსგან დაუსაბუთებელ სტატიას აქვეყნებს და არ ჩანს არავითარი არგუმენტებით გამტკიცება. სტატიის მიზანი მხოლოდ სიძულვილის და დისკრიმინაციის გაღვივება და წახალისებაა.

ქარტია ყოველდღიურად იღებს მოქალაქეებისგან საჩივრებს და შემდგომ მისი განხილვა და დასკვნის დაწერა ხდება. დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში კი რედაქტორი ვალდებულია აიღოს სტატია ზემოთ აღნიშნული ვებ გვერდიდან.

მედიის რეგულაციის მხრივ ერთ-ერთი მნიშვნეოვანი ნაბიჯია. ჟურნალისტის შექმნილ სტატიაზე რეაგირება, მას მოუწოდებს უფრო მეტად ხარისხიანად, არადისკრიმინაციულად და გულდასმით, ნიუსის შექმნას. ეს ერთი მხრივ გაზრდის მის ხარისხს, მეორე მხრივ კი დაიცავს, როგორც ქარტიის პრინციპებს, ისე ეროვნულ უმცირესობათა დაცვის ჩარჩოს შესახებ კონვენციის მე-9 მუხლს. „მხარეები იღებენ ვალდებულებას აღიარონ, რომ თითოეული იმ პირის გამოხატვის თავისუფლება, რომელიც მიეკუთვნება ეროვნულ უმცირესობას, ასევე მოიცავს თავისუფლებას, ჰქონდეს მოსაზრებები და მიიღოს და გასცეს ინფორმაცია და იდეები უმცირესობის ენაზე სახელმწიფო ხელისუფლების ჩარევის გარეშე და საზღვრების მიუხედავად, მხარეები, მათი სამართლებრივი სისტემების ფარგლებში უზრუნველყოფენ, რომ ეროვნული უმცირესობებისადმი კუთვნილი პირები არ განიცდიდნენ დისკრიმინაციას მასმედიის მათთვის ხელმისაწვდომობის მხრივ.“

[44]

[43] გადაწყვეტილება საქმეზე – გიორგი ტუმასიანი ნანა ძველაიას წინააღმდეგ N69

[44] ეროვნული უმცირესობის დაცვის შესახებ კონვენცია

დასკვნა

ეთნიკური უმცირესობა ჩვენი საზოგადოების ის ნაწილია, რომელიც ხშირად დისკრიმინაციის და სტერეოტიპების მსხვერპლი ხდება. ჩემმა კვლევამ ცხადყო, რომ უცმირესობის საკითის გაშუქება მედიაში საკმაოდ მცირე რაოდენობით ხდება. მათ მიმართ მედია არ იჩენს საკმარის ყურადღებას და შესაბამისად საზოგადოებაც ნაკლებად ინტერესდება მათი ცხოვრებით.

მედიის როლი საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებაში ერთ-ერთი მთავარია, ამიტომ ვალდებულება, რომელიც მედიას აკისრია სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია უმცირესობის ინტეგრაციისთვის საზოგადოებაში.

მედიის მონიტორინგმა აჩვენა, რომ ქართული ონლაინ მედია არ აშუქებს დაბალანსებულად უმცირესობის საკითებს, არ იცავს ჟურნალისტურ სტანდარტებს.

Ambebi.ge და ipn.ge-ს მონიტორინგმა აჩვენა, რომ ისინი ძირითადად არ იყენებენ უმცირესობის წარმომადგენლებს წყაროებად და ზოგადად წყაროების სიმცირეა სტატიებში. შეიმჩნევა ნეგატიური ტონი. აღნიშნულ საიტებზე არაა ანალიტიკური სტატიები.

საზოგადოებრივი მაუწყებელი კი მიუხეავად სტატიების სიხშირისა, ინფორმაციის შეზღუდულობით და წყაროების სიმცირით გამოირჩევა, იშვიათ შემთხვებში ვხვდებით უმცირესობის წარმომადგენელს წყაროებად. სტატიები გამოირჩევა ფრაგმენტულობით და ზოგადი სურათის დანახვის საშუალებას არ გვაძლევს.

რაც შეეხება liberali.ge - ს აქ უფრო მეტად სიღრმისეული სტატიები ჩანს. ვხვდებით კვლევების ანალიზს, წყაროების სიმრავლეს, უმცირესობების წარმომადგენლებს რესპოდენტებად მათი პრობლემების ანალიზს.

პრობლემები, რომლებიც უმცირესობებს აქვთ საქართველოს ტერიტორიაზე არაა ასახული ქართულ მედიაში. არ ხდება ფაქტების წარმოჩენა და მოსახლეობაც შესაბამისად არაა ინფორმირებული, როგორც უმცირესობის შესახებ, ისე უმცირესობა არაა ინფორმირებული უმრევლესობასთან დაკავშირებით, რადგან მათვის მედია ფაქტობრივად მიუწვდომელია.

ონლაინ მედიის მონიტორინგის შედეგად დადგინდა, რომ ზემოთ აღნიშნული საიტები არ იყენებენ სიძულვილის ენას. სტატიები ipn.ge-სა და ambebi.ge -ზე ეთნიკური უმცირესობის შესახებ სიახლეები ძირითადად ნეგატიური კუთხითაა გაშუქებული, ხოლო liberali.ge-სა და საზოგადოებრივ მაუწყებელზე, შეიმჩნევა როგორც დადებითი ისე ნეგატიური ტონი.

ეთნიკური უმცირესობების მიმართ აუცილებელია გაიზარდოს ინტერესი, გახდეს მათი პრობლემები ქვეყნის პრობლემა და შესაბამისად მათ მიმართ მედიის დაინტერესებაც გაიზრდება.

მიუხედავად „შერიგების სამინისტროს“ და სახალხო დამცველლის მცდელობებისა, უმცირესობის ასახვა მოხდეს უფრო აქტიურად მედიაში, ეს არ ხდება. აუცილებელია კანონი, რომელიც არსებობს მაუწყებლობის შესახებ მუშაობდეს და უმცირესობებს ქონდეთ საკუთარი აზრის დემონსტრირების საშუალება, გვევლინებოდნენ ისინი რესპოდენტებად, ხდებოდეს მათი დღესასწაულებისა, თუ ტრაგიკული დღების გაშუქება მედიის მიერ. შეეძლოთ მათ თავის ენაზე მიიღონ საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ, კულტურულ თუ სოციალური თემების შესახებ ინფორმაცია და არ უწევდეთ მეზობელი სახემწიფოების საინფორმაციო წყაროების გაცნობა.

მონიტორინგმა ცხყადყო, რომ ონლაინ მაუწყბლობები თითქმის არ ქმნიან ანალიტიკური სტილის სტატიებს. განსაკუთრებით ეს ეხება ე.წ. ტოპ მაუწყებლობებს ambebi.ge-სა და ipn.ge-ს. აქ სიახლებს ვხვდებით რამდენიმე აბზაციანს ძირითადად ერთი წყაროთი, ისიც მთავრობის ან სახალხო დამცველის წარმომადგენელია. რაც შეეხება, liberali.ge-ს აქ უფრო მეტი კვლევების ანალიზია და ვფიქრობ, რომ ეს საინტერესო შეიძლება იყოს უმცირესობისთვის და სწორედ მათზეა გათვლილი. საზოდგადოებრივ მაუწყებელზე კი, ერთის მხრივ სტატიებში ჩანს წყაროების ნაკლებობა, მეორეს მხრივ კი არის სიუჟეტები, რომლებშიც გვხვდებიან, როგორც უმცირესობის წარმომადგენლები, ისე სხვა საკითხთან დაკავშირებული პერსონები, რაც მეტ მრავალფეროვნებას სძენს სიუჟეტს.

ვიზუალური მასალა ძირითადად არ შეესაბამება სტატიებს ეს ეხება ambebi.ge-სა და ipn.ge-ს, ამ ორ ტოპ მაუწყებელს ერთმანეთისგან აქვს გადაღებული ფოტოები და

ხარისიხი მისი დაბალია. ასევე ფოტოებში არ არიან გამოყენებულნი ეთნიკური უმცირესობები, თუ არ ჩავთვლით რამდენიმე შემთხვევას. საზოგადოებრივი მაუწყებელი კი ვიზუალურ მასალად ახალი ამბებიდან აღებულ ვიდეოს იყენებს და მეტი თვალსაჩინოებაც აქვს. Liberali.ge-ზე კი, თითქმის არ გვხვდება საკითხთან დაკავშირებუყლი ფოტო ან ვიდეო.

ონლაინ მაუწყებლობის მედია მონიტორინგმა აჩვენა, რომ მოსახლეობის ძირითადი ნაწილი, რომელ საიტებსაც ეცნობა, მათზე უმცირესობის შესახებ ინფორმაცია არაა საკმარისად ღირებული, ვგულისხმობ top.ge-ს საშუალებით არჩეულ ვებ-გვერდებს. აუცილებელია მათ დაიცვან მაუწყებლობის შესახებ კანონი და მიუხედავა იმისა, არიან თუ, არა სახელმწიფო მაუწყებლობები დაიცვან ჟურნალისტური სტანდარტები და მოსახლეობას მიაწოდონ საჭირო ინფორმაცია. შექმნან დაბალანსებული გარემო.

რაც შეეხება, საზოგადოებრივ მაუწყბელს მისი უშუალო კანონით დაკისრებული ვალდებულებაა დაბალანსებული მედია გარემო შექმნას, უმცირესობის საკითებზე, მათ ენაზე. აუცილებელია არსებობდეს აღნიშნული მაუწყებლის უმცირესობის ენებზე ნათარგმნი ვებ გვერდიც, რათა მიეცეთ საშუალება გაეცნონ ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებს მშობლიურ ენაზე.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ევროპული კომისია რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ მოხსენება საქართველოს შესახებ გვ18, 2016 http://www.coe.int/t/DGHL/MONITORING/ECRI/Country-by-country/Georgia/GEO-CbC-V-2016-002-GEO.pdf 07/07/2017
2. მ.ბასილაია „ეთნოსები საქართველოში“, საქართველოს სახალხო დამცველთან არსებული ტოლერანტობის ცენტრი, გვ5-163, თბილისი, 2008
3. 2005 „ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ“ ევროპული ჩარჩო კონვენცია” https://matsne.gov.ge/ka/document/view/43390 14/07/2017
4. გიორგი თაბაგარი & დიანა ჩაჩუა „სიძულვილის ენის წინააღმდეგ ბრძოლა საქართველოში: ლაკმუსის ტესტი ადამიანის უფლებებისა და სოციალური ტოლერანტობისათვის“ 2011, file:///C:/Users/levan/Downloads/media_monitoring_report_1_may_-_31july_2011_geo%20(1).pdf 07/07/2017
5. აღმოსავლეთის პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნული პლატფორმა პოლიტიკის დოკუმენტი - პირველი სამუშაო ჯგუფი: დემოკრატია, ადამიანის უფლებები, ეფექტური მმართველობა და სტაბილურობა უმცირესობათა მდგომარეობა საქართველოში 2013 ,გვ 8,9 http://eapnationalplatform.ge/admin/editor/uploads/files/publications/Policy%20Paper_WG1_Umciresobebi_1.pdf 07/07/2017
6. „იმედის“ დადგმული „ქრონიკა“ 2010, http://www.civil.ge/geo/article.php?id=22467 07/07/2017
7. საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის შესახებ , გვ90-95, 2015 http://www.parliament.ge/ge/ajax/downloadFile/44905/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%A8%E1%83%98_%E1%83%90%E1%83%93%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%A1_%E1%83%A

3%E1%83%A4%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90%E1%83%97%E1%83%90_%E1%83%93%E1%83%90_%E1%83%97%E1%83%90%E1%83%95%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%A3%E1%83%A4%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90%E1%83%97%E1%83%90_%E1%83%93%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%95%E1%83%98%E1%83%A1_%E1%83%9B%E1%83%93%E1%83%92%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1_%E1%83%A8%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%94%E1%83%91_2015_%E1%83%AC 07/07/2017

8. „საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის შესახებ“ 435-438, 2016, http://www.ombudsman.ge/ge/uploads/other/4/4410.pdf 07/07/2017
9. საინფორმაციო გარემო ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებშიhttp://www.ombudsman.ge/ge/sadjaro-debatebi/sainformacio-garemo-erovnuli-umciresobebit-kompaqturad-dasaxlebul-regionebshi.page07/07/2017
10. ტოლერანტობის ცენტრი http://www.ombudsman.ge/ge/specializirebuli-centrebi/tolerantobis-centri_07/07/2017
11. რა უბიძგებთ სწავლის მიტოვებისკენ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ მოსწავლეებს http://liberali.ge/news/view/29109/ra-ubidzgebt-stsavlis-mitovebisken-etnikuri-umtsiresobebis-tsarmomadgenel-mostsavleebs 04/07/2017
12. კვლევა ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი დიასახლისია ან უმუშევარი http://liberali.ge/news/view/28099/kvleva-etnikuri-umtsiresobis-tsarmomadgenelta-46-diasakhlisi-an-umushevaria 04/07/2017
13. „კვლევა: ეთნიკურ უმცირესობოს წარმომადგენელ ქალთა 96% ოჯახში ძალადობას უარყოფს“ http://liberali.ge/news/view/28100/kvleva-etnikuri-umtsiresobis-tsarmomadgenel-qalta-96-ojakhshi-dzaladobas-uaryofs 04/07/2017
14. „ეთნიკური უმცირესობის 41%-მასაჩიროების მიუხედავადდ სამედიცინო დახმარება ვერ მიიღო“

http://liberali.ge/news/view/28103/kvleva-etnikuri-umtsiresobebis-41ma-sachiroebis-miukhedavad-sameditsino-momsakhureba-ver-miigho 04/07/2017

15. „ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ ქალთა დასაქმებას არასათანად განათლება და სახელმწიფო ენის არცოდნა განაპირობებს“ http://liberali.ge/articles/view/23858/etnikuri-umtsiresobebis-tsarmomadgenel-qalta-dasaqmebas--arasatanado-ganatleba-da-sakhelmtsifo-enis- 04/07/2017
16. ნ. ენუქიძე, სოციალური მედიის როლი ქართული კომპანიების ბრენდინგის პროცესში, დისერტაცია, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 2014 http://iliauni.edu.ge/uploads/other/13/13515.pdf
17. საქართველოს მთავრობის განკარგულება №1740 2015, ქ. თბილისი https://matsne.gov.ge/ka/document/view/2958879 07/07/2017
18. სახალხო დამცველი ეროვნული უმცირესობების საინფორმაციო გარემოზე წვდომის საკითხს ეხმაურება http://1tv.ge/ge/news/view/title/148623.html 07/07/2017
19. ხოჯალოს გენოციდიდან, დღეს, 25 წელი გავიდა http://1tv.ge/ge/news/view/151502.html 07/07/2017
20. ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი სტუდენტებისთვის სტაჟირების პროგრამა იწყება http://1tv.ge/ge/news/view/title/154371.html07/07/2017
21. სახალხო დამცველის ეროვნული უმცირესობების საბჭოს სამუშაო შეხვედრა განათლების სამინისტროში http://1tv.ge/ge/news/view/title/125019.html 07/07/201
22. აქცია სომეხთა გენოციდის აღიარების მოთხოვნით http://1tv.ge/ge/news/view/title/124014.html 07/07/2017
23. რა პრობლემებია ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ არაქართულენოვან სკოლებში http://1tv.ge/ge/news/view/title/148007.html 07/07/2017
24. სადახლოსა და ფოკაში ეთნიკური უმცირესობებისთვის ქართული ენის შემსწავლელი კურსები დასრულდა http://1tv.ge/ge/news/view/title/125743.html 07/07/2017

25. პროექტთან „გასაგებ ენაზე ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება ეთნიკური უმცირესობებისთვის" დაკავშირებით პრესკონფერენცია გაიმართა http://1tv.ge/ge/news/view/138125.html 07/07/2017
26. „საქართველოს სომხეთა სათვისტომო ტრადიციულ მანიფესტაციას არ გამართავს http://www.interpressnews.ge/ge/sazogadoeba/376692-saqarthvelos-somekhtha-sathvistomo-thurqethis-saelchosthan-tradiciul-manifestacias-ar-gamarthavs.html?ar=A 07/07/2017
27. „ავლაბრის წმინდა ეჩმიაძინის სომხური ეკლესიის მიმდინარე ტერიტორიაზე აქცია მიმდინარეობს" http://www.interpressnews.ge/ge/arqivshi-dzieba/376704-avlabris-tsminda-echmiadzinis-somkhuri-eklesiis-mimdebare-teritoriaze-aqcia-mimdinareobs.html?ar=A 07/07/2017
28. „არაქართულენოვანი აბიტურიენტებისთვის უმაღლესი განათლების ხელმმისაწვდომობის ცნობადობის ასამაღლებელი საინფორმაციო კამპანია ჩატარდა" http://www.interpressnews.ge/ge/arqivshi-dzieba/425720-araqarthulenovani-abiturientebisthvis-umaghlesi-ganathlebis-khelmisatsvdomobis-cnobadobis-asamaghleblad-sainformacio-kampania-chatarda.html?ar=A07/07/2017
29. „მიხეილ ჯანელიძე: საქართველო მაქსიმალურად ახდენს ოკუპირებულ რეგიონებში ადამიანის უფლებების დარგვევებზე საერთაშორისო თანამეგობრობის მობილიზებას."http://www.interpressnews.ge/ge/arqivshi-dzieba/425752-mikheil-janelidze-saqarthvelo-maqsimalurad-akhdens-okupirebul-regionebshi-adamianis-uflebebis-darghvevebze-saerthashoriso-thanamegobrobis-mobilizebas.html?ar=A 07/07/2017
30. „მშვიდობის ფონდუს დამფუძვნებელი ეთნიკურ უმცირესობებს ხვდება" http://www.interpressnews.ge/ge/arqivshi-dzieba/377290-mshvidobis-fondis-damfudznebeli-ethnikur-umciresobebs-khvdeba.html?ar=A 07/07/2017
31. "ეს მე პირადად არ მომისმენია, გადმოცემით ვიცი..." - რა კომენტარს აკეთებს ღოღობერიძე, რომელიც აჭარის საპატრულოს უფროსის წინააღმდეგ კამპანიას აწარმოებდა" http://www.ambebi.ge/sazogadoeba/194641-qes-me-piradad-ar-

momismenia-gadmocemith-viciq-ra-komentars-akethebebs-ghoghoberidze-romelic-atcaris-sapatrulos-ufrosis-tsinaaghmdeg-kampanias-atsarmoebda.html 07/07/2017

32. ,,რა აქცია გაიმართა ბათუმში არეულობამდე ორი დღით ადრე და ვინ შეიძლება მართავდეს განვითარებულ პროცესებს?" http://www.ambebi.ge/sazogadoeba/194618-ra-aqcia-gaimartha-bathumshi-areulobamde-ori-dghith-adre-da-vin-sheidzleba-marthavdes-ganvitharebul-procesebs.html 07/07/2017

33. დამწვარი და დაზიანებული მანქანები, დაშავებული პოლიციელები და მოქალაქეები - ბათუმის ერთი დღის დრამატული ქრონიკაhttp://www.ambebi.ge/samartali/194606-damtsvari-da-dazianebuli-manqanebi-dashavebuli-policielebi-da-moqalaqeebi-bathumis-erthi-dghis-dramatuli-qronika.html 07/07/2017

34. "ქორწილის პირველ ღამეს თუ არ მოხდა სქესობრივი აქტი, საქალწულე აპკს ხელით არღვევენ" - ბოშაზე გათხოვილი ქართველი ქალის სულისშემძვრელი ნაამბობი“ http://www.ambebi.ge/sazogadoeba/189987-qqortsilis-pirvel-ghames-thu-ar-mokhda-sqesobrivi-aqti-saqaltsule-apks-khelith-arghvevenq-boshaze-gathkhovili-qarthveli-qalis-sulisshemdzvreli-naambobi.html 07/07/2017

35. "სკოლაში შეშა არ არის", "გოგოებისთვის შარვალი არ შეიძლება" - რას წერენ მოსწავლეები სადახლოს სკოლიდან”http://www.ambebi.ge/sazogadoeba/197944-qskolashi-shesha-ar-arisq-qgogoebisthvis-sharvali-ar-sheidzlebaq-ras-tseren-mostsavleebi-sadakhlos-skolidan.html 07/07/2017

36. Media Development Foundation (MDF) (2013), Monitoring Hate Speech and Discrimination in Georgian Media (15 April – 15 August 2013), http://mdfgeorgia.ge/uploads//Hate%20Speech-Publication-ENG.pdf, 07/07/2017

37. Bulletin board system https://en.wikipedia.org/wiki/Bulletin_board_system 07/07/2017

38. Mud https://en.wikipedia.org/wiki/MUD 07/07/2017

39. სახალხო დამცველის განცხადება საზოგადოებრივი მაუწყებლის ახალი ხელმძღვანელობის მიერ წარმოდგენილი სამოქმედო გეგმის თაობაზე http://www.ombudsman.ge/ge/news/saxalxo-damcvelis-gancxadeba-sazogadoebrivi-mauwyeblis-axali-xelmdzgvanelobis-mier-warmodgenili-samoqmedo-gegmis-taobaze.page 14/07/2017

40. გადაწყვეტილება საქმეზე – MDF, GDI და TDI გიორგი გაჩეჩილაძის წინააღმდეგ http://qartia.org.ge/mdf_gdi_tdi/ 14/07/2017

41. სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი) მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერა, გვ8, 2016 http://census.ge/files/results/Census%20Release_GEO.pdf

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Faculty of Social and Political Studies

Media and New Technologies

Mariam Gogaladze

Reflection of the Ethnic Minorities in New Media

Supervisor Natia Kuplashvili

Tbilisi 2017